


# «უნახავმა რა ნახაო...»

ანუ

## სინაი და ივრის

### ამერიკულ მთბევდილები





401 1528 ზბ-13241!

აიყარისუა, 2002



ქართული  
ბიბლიოთეკა

მიხეილ ქვლივიძე 1957-9.

002 რ

# „უნახაჲმა რა ნახაო ....“

ანუ


ამერიკული შთაბეჭდილებები

(გაურკვეველი ნარკვევი)

ჩემს ქართველ შვილს  
გიორგი ქვლივიძეს ვუძღვნი


თბილისი  
მერანი  
1999

F 102.67813





84 გრ -5  
894.631-1  
ქ 498

  
ქართული  
ბიბლიოთეკა

რედაქტორი: გივი აღმაშენებელი

მხატვარი: მისეილ ქვლივიძე

К 314.262  
3

ISBN 99928-16-32-5

© მ. ქვლივიძე, 1999



სამართლებრივი კარგაგონების  
ქართული ბიბლიოთეკა



„უნახავმა რა ნახა და ...“ – მოიცა, მოიცა, – გამაჩერებს მკითხველი, – არ გააგრძელო, მაგ ხალხურ გამოთქმას უწმაწური დაბოლოება აქვს! გირჩევნია ამერიკაზე გვიამბო. მგონი შეერთებულ შტატებზე უკეთესი ქვეყანა ჯერ არ არსებობს, ყველა იქ გარბის!.. „უნახავმა რა ნახაო ...“ რომ წერ, შენს თავს ხომ არ გულისხმობ, ყოფილ საბჭოთა მოქალაქეს, ვისაც დაბადების დღიდან მუდმივი პატიმრობა მოგისაჯეს და „სსრკ“-ს იქით არ გაიხედო, – გიბრძანეს? ისეთი რა ჩაიდინე, შე საწყალო? ნუთუ დანაშაულია, რომ შენდაუნებურად საბჭოთა კავშირში გაჩნდი?!..

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენი „ნარკვევის“ სათაურსა და ქვესათაურს „უნახავმა რა ნახაო ....“ ისე მოხდა, დრო შეიცვალა, საბჭოთა იმპერია გააუქმეს და თქვენი მონა-მორჩილი ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმოჩნდა.

დავდივარ ახლა აქ, ვფიქრობ და ჩემს შთაბეჭდილებებს პატარა კოლოფს ვუზიარებ, ჩემმა ამერიკელმა შვილიშვილმა, 7 წლის კატინემ რომ მაჩუქა. ამას „დიქტოფონი“ ჰქვია. კარგი რამეა! მით უმეტეს, პოეტისთვის, ვისაც გრძლად წერა ეზარება ...

მაშ ასე: „ამერიკული შთაბეჭდილებანი“! ამერიკის შესაცნობად აუცილებელი არაა მთელი შეერთებული შტატები მოიარო. წყალი ყველგან წყალია: ოკეანეშიც, მდინარეშიც, გუბეშიც, მაგრამ ოკეანის ერთ პატარა ტალღაშიც იგრძნობა სტიქიის უსასრულობა და ძალა, როცა ნაპირთან ახლო მდგარს დაგეჯახება და ცხვირით ქვიშას გათხრევინებს! ამერიკაში მე დიდხანს არ გავჩერებულვარ, ბევრიც არაფერი მინახავს: ნიუ-იორკი, ვაშინგტონი და კიდევ საკურორტო ქალაქი ატლანტიკ-სიტი ... სამაგიეროდ, ამერიკულ ოჯახში მიცხოვრია, ბევრგან სტუმრადაც ვყოფილვარ და, შეძლებისდაგვარად, მათ ყოფას გავეცანი. მე მგონი, მთავარი, რაც ამერიკელებს ახასიათებს, შევნიშნე და შევიგრძენი....

პირველ ყოვლისა, შეერთებული შტატები „ქვეყანა“ არ არის, არც „სახელმწიფო“ (ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით). იგი პლანეტაა, გამოუცნობი პლანეტა, რომელიც კოლუმბის დროიდან მოყოლებული დღემდე თავის ახალ აღმომჩენელს ელის. აქ





სხვადასხვა ერის წარმომადგენლები ცხოვრებენ და ყველანი „ამერიკელები“ არიან. ისინი ისევე განსხვავდებიან ჩვენგან, როგორც ვთქვით... ჩვენ განვსხვავდებით სომხებისგან!

მე კიდევ ბევრი რამ მინდა გიამბოთ ამერიკის შესახებ, მაგრამ, სანამ ჩემს შთაბეჭდილებას გაგიზიარებდეთ, მოდით, უკან დავიხევ და საქართველოდან საზღვარგარეთ ჩემი გამგზავრების თავშესაქცევ აბავს მოგიყვებით...

## თავი პირველი და უკანასკნელი

... მთელი ოთხი საათის განმავლობაში, ორმოცგრადუსიან სიციხეში, სამასამდე მგზავრი მზისგან გახურებული თვითმფრინავის რკინის სტომაქში ვისხედით და არავინ, არც ერთმა სულიერმა არ გვითხრა (თუმცა თვითმფრინავში მიკროფონიც არსებობდა), როდის გაფრინდებოდა ჩვენი ფრთოსანი ურჩხული! ამ დროს თურმე მფრინავთა ეკიპაჟი ვაზიანის სამხედრო სასადილოში პურს ჭამდა და ისვენებდა... ალბათ, ყველა ჩვენგანს წარმოუდგენია დანტეს მიერ აღწერილი ჯოჯოხეთი. მე ამიერიდან ჯოჯოხეთის წარმოდგენა არ გამიძნელდება: იქ ვიყავი და კარგად ვიცი, რას წარმოადგენს ადამიანის ავადმყოფური ფანტაზიის ეს ნაყოფი! გახურებული ჰაერი, ნესტოებს რომ გწვავს. აბსოლუტური სიბნელე. ერთმანეთში გადაზეული ადამიანთა სხეულები. ოფლის, შარდის და განავლის სუნი. ბავშვების ღნავილი, რადგან პატარები ვერ ითმენენ, როცა გაუჭირდებათ და ჩემოდნებსა და ჩანთებს შორის, პირდაპირ იატაკზე შარდავენ და „დიდზედაც გადიან“... პირადად მე ყველაზე მეტად უჰაერობა და წყურვილი მკლავდა და, თუმცა მეშინოდა, გული არ წამსვლოდა (მაინც 70 წლის ვარ!), სასოწარკვეთილებას არ მივცემივარ და, თვითმფრინავი რომ დაიძრა, რაღაც სიხარულის მსგავსიც კი ვიგრძენი. მაჯის საათს სიბნელეში ვერ ვხედავდი, ამიტომ წამების თვლას შევუდექი: სამოცს რომ დავითვლიდი, ერთ წუთს ნიშნავდა, 600 წამი კი უკვე ერთი საათი იყო... და როცა თვითმფრინავი მიწას მოწყდა და აფრინდა, შვებით ამოვისუნთქე: ახლა სიკვდილის მეტი ვერაფერი შემეშლიდა ხელს მოსკოვამდე





ჩამელწია და იქიდან ამერიკაში გავფრენილიყავი...

მაგრამ ჩემი სიხარული ნაადრევი გამოდგა. სამხედრო თვით-  
მფრინავი მოსკოვში კი არა, ქალაქ ჩკალოვში დაჯდა. მოსკო-  
ვამდე კიდევ ელექტრომატარებლით უნდა მეძგზავრა და, ალბათ,  
ადამიანის გამძლეობის ახალი მსოფლიო რეკორდი დავამყარე,  
როცა, ჩანთებით ხელში, თითქმის კილომეტრიანი მანძილი  
რამდენიმე წუთში დავფარე!...

აღარ მახსოვს, სახლამდე როგორ მივალწიე. ღამის ორი  
საათი იქნებოდა, მედიკომ და გოგიამ რომ კარი გამიღეს. ტირილი  
მინდოდა, მაგრამ ისე ვიყავი გასავათებული, ვერ შევძელი ...

მოსკოვში ორ კვირამდე დავრჩი. ჩემებმა ცოტა მომასუ-  
ლიერეს და მე და ჩემი შვილი ამერიკის საელჩოში წავედით  
ვიზის ასაღებად.

აღარ მოვყვები უსაშველო რიგში დგომის ამბავს (ორი დღე-  
ღამე ვიდექით!), – ეს ხომ საბჭოთა მოქალაქისთვის კარგად ნაც-  
ნობი პროცედურაა! იმას კი გეტყვით, რომ, სანამ საელჩოში  
მივიდოდი, ჩვენს საკონსულოში გამაფრთხილეს: უკანასკნელი  
თვის მანძილზე ამერიკელებს არც ერთი ქართველი მოქალა-  
ქისათვის ვიზა არ მიუციათ, რადგან საქართველოში ახლა ომია  
და მათ ეშინიათ, რომ ქართველები უკან აღარ დაბრუნდებიან ...  
მე მაინც იმედინად ვიყავი, რადგან კერძო მოწვევა კი არ მქონდა,  
რომელიღაც ფირმის მიერ ვითომ წიგნის გამოსაცემად ვიყავი  
მიპატიჟებული. პატარა გოგიას მხრით კი ეჭვი სულ არ მეპა-  
რებოდა – დარწმუნებული ვიყავი, ბიჭს აუცილებლად გამო-  
უშვებდნენ, არადა, ამგვარი ეჭვის საფუძველი უნდა მქონებოდა.  
მოსკოვში ვისაც ვუთხარი, რომ შვილთან ერთად მივდივარ  
საზღვარგარეთ, ყველამ ერთხმად მიპასუხა: გიჟი ხარ, ბიჭი უკან  
რალად გინდა წამოიყვანო? იქ დატოვე. შენი ქალიშვილი ხომ  
ამერიკაში ცხოვრობს, ჰოდა, ცოტა ხანს მაინც ნორმალურ  
პირობებში იცხოვრებსო! ეტყობა, ამ ეშმაკობის შესახებ  
ამერიკულ საელჩოშიც იცოდნენ, ამიტომ ვიზა მარტო მე მომცეს,  
ბიჭს კი უარი უთხრეს და „მძევლად“ დაიტოვეს, გარანტად იმისა,  
რომ მამამისი აუცილებლად შინ დაბრუნდებოდა!

გული დამწყდა, გოგიას თვალს ვერ ვუსწორებდი. მე ხომ  
უფრო იმის გულისთვის მივდიოდი ამერიკაში, რომ იმას ენახა





ამერიკა, თორემ მე იქ რა ჯანდაბა მინდოდა: ხნიერი კაცის ვაჟი, ბევრი რამ მინახავს, როგორმე გავძლებდი უამერიკოდაც!

ასეა თუ ისე, გოგიას ვიზა არ მისცეს. მაგრამ ჩემმა ჭკვიანმა ბიჭმა იმდენი ვაჟკაცობა გამოიჩინა, პირიქით, აქეთ დამამშვიდა: „წადი, მამიკო, ჩემს მაგივრად ნახე იქაურობა, ჩამოხვალ და მიაბობ...“

ჩემი გამგზავრების დღეც დადგა. მარშრუტი ასეთი მქონდა: მოსკოვი-ჰელსინკი-ნიუ-იორკი. შერემეტიევოს აეროპორტში ცოლ-შვილმა მიმაცილა (მედიკო და გოგია მეორე დღესვე თბილისში ბრუნდებოდნენ)...

და აი, იქ, შერემეტიევოში, ყოფილი საბჭოთა ქვეყნის საზღვარზე, სამოქალაქო ავიაციის რუსმა მოხელეებმა, ისევე, როგორც მანამდე ვაზიანში რუსმა სამხედროებმა, კიდევ ერთხელ მაგრძნობინეს, რომ მიუხედავად საბჭოთა იმპერიის დაშლისა, თქვენი მონა-მორჩილი ისევ იმ „საბჭოთა მოქალაქედ“ დარჩა, რომლის დამცირება და აბუჩად აგდება სულ იოლი საქმეა!

ჩემი თვითმფრინავის გაფრენას ერთი საათი აკლდა, როცა ჩემებს დავემშვიდობე და საბაჟო კონტროლს მივადექი. მებაჟემ ჩემს ჩემოდანში ცხვირი ჩაჰყო და დიდხანს იქეჭებოდა, მაგრამ შარი ვერ მომდო, რადგან ტანისამოსისა და თბილისის სალონებში ნაყიდი იაფფასიანი სუვენირების მეტი არაფერი გამაჩნდა. მაინც დიდხანს გამაჩერა. მომეჩვენა, თითქოს განზრახ აჭიანურებდა დროს, რომ თვითმფრინავზე დამგვიანებოდა. დავრწმუნდი კიდევ ამაში, როცა მებაჟეს მოვცილდი და სატვირთო კონვეიერთან მომუშავე ქალთან მივედი – მას ბარგი უნდა მიეღო და ჩასაჯდომი ტალონი მოეცა ჩემთვის. იმ ქალმა თავის მაჯის საათს დახედა, ჩემოდანი უკან გადმომიგდო და ღიმილით მითხრა: „ამერიკაში მიბრძანდებით? დაგაგვიანდათ, ძვირფასო! თვითმფრინავი საცაა აფრინდება, ჩაჯდომას ვეღარ მოასწრებთ“. „როგორ? – გადავირიე, – ამ წუთში არ გამოაცხადეს, ჩასხდომა გრძელდებაო?! ჩემი რეისი თერთმეტზე მიფრინავს, ახლა თერთმეტის ნახევარია! თითქმის ერთი საათი თქვენთან ლაპარაკს მოვუნდი!“ – ისე ავლელდი, ლამის სისხლი ჩამექცა. მკვდრის ფერი დამედო სახეზე და, ალბათ, გიჟს ვგავდი. მოვის-



როლე ჩემოდანი, გადავახტი კონვეიერს და გავექანე მესაზღვრის  
ჯიხურისაკენ. ამასობაში ჩემს დასახმარებლად ვიდაცები  
გამოცვივდნენ: ერთმა ჩემს ჩემოდანს დაავლო ხელი და  
კონვეიერზე შეაგდო, მეორე მებაჟე ქალს ეცა და რაღაცას  
უხსნიდა, მესამემ ჩასაჯდომი ტალონი მომირბენინა. მე უკვე  
მესაზღვრე ჯარისკაცს პასპორტს ვუწვდიდი. მახსოვს, ზედ არც  
შეუხედავს, ბეჭედი დაარტყა და გამატარა...

შერეპეტიევო დიდია და კარგა ხანს ვირბინე, სანამ „ფინ-  
აირის“ თვითმფრინავის გასასვლელს მივაგნებდი. ბოლოს ვიპოვე  
და რას ვხედავ? დაახლოებით ასკაციანი რიგი დგას და მგზავრები  
დინჯად და აუჩქარებლად შედიან თვითმფრინავში, რომლის  
წასვლამდე კიდევ 20 წუთია დარჩენილი!.. მრცხვენია ამის  
აღიარება, მაგრამ არც რიგში ჩავმდგარვარ, არც ვინმესთან  
ბოდიში მომიხდია, ხელისკვრით გავარღვიე ბრბო, გიჟივით  
შევვარდი „ბოინგის“ სალონში და სავარძელში ჩავეშვი ...  
ქერათმიანმა სტიუარდესამ გაკვირვებით შემომხედა და, ჩემი  
ტანჯვით სავსე თვალები რომ დაინახა, უხმოდ გატრიალდა და  
ცივი სასმელი მომიტანა. ახლაც მახსოვს მისი თანაგრძნობით  
სავსე ღიმილი: ასე ციხიდან გამოშვებულ პატიმარს უღიმიან...

და დაიწყო ჩემი მოგზაურობა ქვეყნისკენ, რომლის ნახვა იმ-  
დენად შეუძლებლად მიმაჩნდა, რომ ამაზე არასდროს მიოცნებია...

\*

იმ დღიდან, რაც შეერთებულ შტატებში ჩამოვედი, სულ  
ვფიქრობ: „ღმერთო, მოგვეცი ჩვენც, ქართველებს ასეთივე  
ცხოვრება (მე მხედველობაში მაქვს მატერიალური დონე და ის  
ფუფუნება, რასაც ადამიანს განვითარებული ტექნიკა უქმნის!).  
რა ბედნიერები ვიქნებოდით, რა ნოყიერი ნიადაგი ექნებოდა ჩვენს  
ნიჭს, ყველა ჩვენს შესაძლებლობას! ჩვენ ხომ მართლა კარგი  
ხალხი ვართ: ოჯახიც გვიყვარს, ნათესავიც, მეგობარიც, კარის  
მეზობელიც კი ახლობლად მიგვაჩნია! მოყვასთან ურთიერთობა  
ჩვენი უპირველესი სულიერი მოთხოვნილებაა, ამის გარეშე  
ქართველ კაცს არსებობა არ შეუძლია! მიუხედავად იმისა, რომ  
დრო გაფუჭდა, პირადად მე ბევრი ნაცნობი და უცნობი ქართველი  
მეგულება, ვინც საზოგადოებრივ მოღვაწეობას ყოველად



უანგაროდ ეწევა. აქ კი, ამერიკაში, სულ სხვანაირი ხალხია. მეგობრობას ისინი „პარტნიორობას“ უწოდებენ. თუ ამერიკელი ბიზნესმენი ან სახელმწიფო მოხელე ადამიანთან საქმიანი ინტერესით არ არის დაკავშირებული, მასთან ურთიერთობა დროის დაკარგვად მიაჩნია. დრო კი, მათი გაგებით, ფულია და მისი გამოყენებაა საჭირო! დიახ, უანგაროდ, უმიზეზოდ, უბრალო სიმპათიის გამო აქ არავინ არავის დაუახლოვდება! უდარდელი დროსტარება აქ ყოვლად წარმოუდგენელია! ერთად თუ შეიყრებიან და სადმე რესტორანში წავლენ, – მეგობრები კი არა, თანამშრომლები ან საქმიანი ინტერესით დაკავშირებული ხალხი უნდა იყოს. იქაც, სუფრასთან, ძირითადად, საქმეზე საუბრობენ, უქმად რომ არ ჩაიაროს მათმა შეხვედრამ და რაიმე ხელსაყრელი შედეგი გამოიღოს...

ცხოვრებისადმი ასეთი დამოკიდებულება ჩემს სიძეს ვალოდიას ძალიან ეტყობა. რუსია, თანაც ახალჩამოყალიბებული ბიზნესმენი და ცდილობს, არაფერში ჩამორჩეს თავის ამერიკელ კოლეგებს, რომელთა ძირითადი საზრუნავი, მე ვიტყვოდი, სულიერი მოთხოვნილებაც კი, გამდიდრება და თავის წრეში პრესტიჟის მოპოვებაა.

და კიდევ, საკუთარ ჯანმრთელობაზე გადაყოლილი ზრუნვით გამოირჩევიან ამერიკელები! ექიმებთან განუწყვეტელი კონსულტაციები, სმა-ჭამის რეჟიმის დაცვა, თაბაქოს მოწევაზე უარის თქმა და ა.შ. არსად სხვაგან ასეთი რამ არ შემხვედრია!.. ჩემი ქალიშვილი ტომა მოსკოვში გაიზარდა და, თუმცა დედა უკრაინელი ჰყავდა, მის ძარღვებში ქართული სისხლი ჩქეფს. იგი ძნელად ეგუება აქაურ ცხოვრებას. მას, როგორც ვატყობ, ისევე უჭირს, როგორც მე გამიჭირდებოდა, ერთ თვეზე მეტი რომ დავრჩენილიყავი ამერიკაში. ტომას ჩემსავით არ შეუძლია თავისი მოთხოვნილებები მხოლოდ მატერიალური ფასეულობებით დაიკმაყოფილოს. მოყვასიც უყვარს, მხატვრული ლიტერატურაც, ბუნებაც, მუსიკაც, თეატრიც... ერთი სიტყვით, ჩვენებური ქალია და ეს ყველაზე მეტად იმაში გამოიხატება, რომ სანიმუშო მეოჯახეა – ერთგული მეუღლე და მზრუნველი დედა. მეცოდება ტომა. არ იმჩნევს, მაგრამ დარდობს და ამ დარდს ვერც შეძლებული ცხოვრება და ვერც შვილების სიყვარული ვერ





უქარვებს. ამიტომაც არის, რომ სუქდება და თავის ასაკთან შედარებით ხანში შესულად გამოიყურება...

საღამოობით, ჩემს ოთახში რომ შევდივარ და ვწვები, ძილის წინ ტომაზე და მის ორ გოგონაზე – ანიკოზე და კატინეზე – ვფიქრობ. რა მომავალი ელოდება ჩემს შვილიშვილებს?! გაიზრდებიან და თავისი ცხოვრების პარტნიორებს გაიჩენენ. ეჭვი არ მეპარება, შეძლებული ცხოვრება ექნებათ, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ეცოდინებათ ნამდვილი ადამიანობისა და სიყვარულის ფასი ... ისევ და ისევ ვფიქრობ: ნეტავი, საქართველოში მომცა ცხოვრების ასეთი პირობები. პატარა კატინეს მაინც წავიყვანდი თბილისში, ქართულს ვასწავლიდი, ქართველ ქალად გავზრდიდი! მაგრამ, ალბათ, იმიტომ, რომ პრაქტიკულები არ ვართ, ჩვენში არასდროს იქნება ისეთი ცხოვრება, როგორიც შეერთებულ შტატებშია...

ვინც ამ ჩემს ნარკვევს წაიკითხავს, ალბათ, მისაყვედურებს, რომ ამერიკის ღირსშესანიშნაობებს კი არ ვათვალიერებდი (კათამბჯენებს, მუზეუმებს, ძეგლებს, თეატრებს, გამოფენებს), არამედ უფრო ადამიანებსა და მათი ცხოვრების წესს ვაკვირდებოდი. ეს მაინტერესებდა. მე და ჩემმა თაობამ საბჭოთა კავშირში ისეთ არაადამიანურ პირობებში გავატარეთ ცხოვრება, რომ ჩემი ინტერესი 21-ე საუკუნეში ფეხგადადგმულ ამერიკისადმი სავსებით გამართლებულია.

ავიღოთ, მაგალითად, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის საკითხი. აქ წინა პლანზე მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ზრუნვაა დაყენებული. ადამიანი სახლს რომ აშენებს, საძირკველს რომ გათხრის, აუცილებლად მუნიციპალიტეტიდან მოხელე უნდა მოვიდეს და შეამოწმოს, – სწორად არის გათხრილი საძირკველი თუ არა. ეს მოხელე საძირკველების სპეციალისტია. მას ტელეფონით უკავშირდებიან; მოდის, შესრულებულ სამუშაოს ამოწმებს და მისი გაგრძელების უფლებას იძლევა. საძირკველში როცა ბეტონს ჩაასხამენ, ამის შესამოწმებლად სხვა სპეციალისტი მოჰყავთ. ასევე იქცევიან სახლის გადახურვისა და სხვადასხვა კომუნიკაციების გაყვანის დროსაც (ელექტროფიცირება, კონდიციონერების დაყენება, გათბობისა და წყალგაყვანილობის საკითხი, კანალიზაცია და სხვა). ყველა ამ





სამუშაოს საგანგებოდ გამოძახებული სხვადასხვა სპეციალისტი ამოწმებს და სახლის პატრონს მუშაობის გაგრძელების ნებართვას აძლევს – წერილობით, დამოწმებული საბუთით! ამრიგად, ახალაშენებული სახლი ყოველმხრივ უსაფრთხოა და თუ, ვთქვათ, სახლის პატრონი მის გადაკეთებას მოინდომებს, ამისათვის აუცილებლად სპეციალისტის გამოძახება და ნებართვის მიღება დასჭირდება. ამ, ერთი შეხედვით, „ბიუროკრატიულ“ პროცედურაში აბსოლუტურად გამორიცხულია რაიმე თაღლითობა: ქრთამი, პროტექცია, გარიგება და სხვა... მუნიციპალიტეტის სპეციალისტი მოხელეები სახლის პატრონზე არანაკლებ მდიდრები არიან. ჩემი სიძის სახლში ორი მოხელე ვნახე – ისეთი მანქანებით მოგრიადნენ, თვით ვალოდიასაც, ახალთახალი „ლინკოლნის“ მფლობელს შეშურდებოდა! ამასთან დაკავშირებით, მაგონდება, როგორ შენდებოდა თბილისში ჩვენი სახლი, ლესელიძის ქუჩაზე, რომ არავის არასდროს არ შეუმოწმებია არც საძირკველი, არც კედლები, არც გადახურვა, არც ელექტრო და წყლის გაყვანილობა და არც გათბობის სისტემა...

ყოფითი მომსახურების მხრივ ამერიკაში კიდევ ერთმა მოვლენამ გამაკვირვა. თურმე, როცა ავადმყოფთან სასწრაფო დახმარებას იძახებენ, ექიმების მანქანას აუცილებლად პოლიციის მანქანაც მოჰყვება და დაზარალებულის ან ავადმყოფის სახლში, ექიმთან ერთად, პოლიციელიც შედის, რათა დააფიქსიროს: რაიმე ბოროტმოქმედებას ხომ არა აქვს ადგილი?!

ამერიკაში ჩემი განცვიფრება არა მარტო შენობებმა, გზებმაც გამოიწვია. ნიუ-იორკიდან ნიუ-ჯერსის შტატამდე (სადაც მე ვცხოვრობდი) ორმხრივი მოძრაობაა. ბეტონის ტრასა ისეთი განიერია, ერთდროულად სხვადასხვა მიმართულებით 10-12 მანქანა მიქრის 180-200 კილომეტრის სისწრაფით (ნაკლები სიჩქარით მოძრაობა, უსაფრთხოების მიზნით, აკრძალულია!). ნიუ-იორკში, ჰუდონის ქვეშ გაყვანილი 14-კილომეტრიანი გვირაბიდან რომ ამოხვალთ, მანკეტენის შუაგულში აღმოჩნდებით, მანამდე კი თქვენს თვალწინ ცათამბჯენების გადასარევი პანორამა იშლება. ღმერთო ჩემო, რამდენი სისულელე არ წამიკითხავს საბჭოთა პრესაში ამ ცათამბჯენების შესახებ?!






არადა, ასეთი ლამაზი სანახაობა ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს! კაკასიონის ქედს რომ უყურებ თვითმფრინავიდან ან სხვა მაღალი წერტილიდან, სწორედ ისაა ნიუ-იორკის ცენტრში განლაგებული მანჰეტენი! თითოეული შენობა ცალ-ცალკე აღიქმება და ერთადაც. ერთი ცათამბჯენი მოლურჯოა, მეორე ვარდისფერი, მესამე იასამნისფერი ... ერთი მრგვალია, მეორე წახნაგოვანი, მაგრამ მთავარი მათი ღირსება საოცარ სიმსუბუქეშია. მასა სრულებით არ იგრძნობა, არც წონა, გეგონება, სახლი საცაა ცაში აფრინდება! და ამ ფანტასტიკურ „ხელოვნურ კაკასიონს“, უმაღლესი მწვერვალივით, თავს ადგას, „ნიუ-იორკ სტიუტ ბილდინგი“ – ასსართულიანი გოლიათი!

მაგრამ ამერიკა, ჩემი შთაბეჭდილებით, მაინც ცათამბჯენის კი არა, ორ-სამსართულიანი სახლების ქვეყანაა (ამაზე ილფი და პეტროვიც წერდნენ!) და კიდევ, გადასარევი ავტოსტრადების – საავტომობილო გზების სახელმწიფოა! ეტყობა, ამერიკელებმა ჯერ თავიანთი საცხოვრებელი სივრცე მოაწყვეს, ლამაზი და მოხერხებული კოტეჯები დაიდგეს, მერე კი, მსოფლიოს გასაკვირვებლად, ცაში სართულები აისროლეს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ღმერთს ფეხისგულები დაფხანეს“? მათი გზები – იგივე ცათამბჯენია, ოღონდ მიწაზე გართხმული! მაგრამ ამერიკელები ამასაც არ დასჯერდნენ: როგორც ვიცით, ისინი კოსმოსშიც აიჭრნენ და მთვარეზეც გაისეირნეს და, რა გასაკვირია, თუ ერთ მშვენიერ დღეს, თავიანთ მრავალრიცხოვან შტატებს მთვარესაც შეუერთებენ!.. მიკვირია კაცი არ ვარ (მართალია, „უნახავად“ წარმოგიდგინეთ თავი!), მაგრამ ამერიკაში ყოფნის დროს ბევრჯერ გავუკვირვებოვარ ისეთ წვრილმანს, რაზეც მკითხველს, ალბათ, გაელიძება. რა მექნა, რასაც დავინახავდი, ყველაფერს ჩვენსას ვადარებდი და, განსხვავებას თუ აღმოვაჩენდი, მიკვირდა. ავიღოთ, მაგალითად, კონდიციონერების საკითხი. მოგეხსენებათ, ცხელ ზაფხულში ბინების, დაწესებულებების, ავტომანქანების გაგრილება ისევე აუცილებელია, როგორც ზამთარში მათი გათბობა. მე შეძლებულ ოჯახში ვცხოვრობდი და მიკვირდა, რომ იმ ოთახებში, სადაც გრილოდა, ჩვენებურ, ფანჯრებში გაყოფილ კონდიციონერების ყუთებს ვერსად ვხედავდი (როგორც ვიცით, ჩვენი კონდიცი-



ონერები იატაკს უფრო ასველებენ, ვიდრე ჰაერს აცივებენ!), გამოირკვა, რომ გამაგრებელი მოწყობილობა აქ შენობის კედლებშია დატანებული (ელექტროგაყვანილობის მსგავსად), ამიტომ როგორც უნდა ცხელოდეს გარეთ, სახლში ყოველთვის გრილა. თან ტემპერატურის რეგულირება სპეციალური დილაკით ხდება: ცივი ჰაერი ჭერის უხილავი ნახვრეტებიდან შემოდის და, თქვენი სურვილის მიხედვით, ხან ერთ ოთახში გრილა, ხან მეორეში, ხან კიდევ ყველა ოთახში ერთად! ასევეა დაწესებულებებშიც, კაფე-რესტორნებშიც, სუპერმარკეტშიც, ავტობუსებშიც, მოკლედ, სადაც არ უნდა მიხვიდეთ, ზამთარში გათბებით, ზაფხულში კი გაგრილდებით!



ქ. მაუნტენსაიდი. ჩემი „რეზიდენცია“ ამერიკაში

\*

დღეს მე და ჩემი უფროსი შვილიშვილი ანიკო (იგი 15 წლისაა) მანჰეტენში წავედით თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმის დასათვალიერებლად. ცხელოდა, თერმომეტრი 40 გრადუსს აჩვენებდა. გამოფენა საინტერესო აღმოჩნდა. ლათინური ამერიკის მხატვრობამ ისე მომხიბლა, წამოსვლა





აღარ მინდოდა. საოცარი დამთხვევა აღმოვაჩინე ამ ქვეყნის ფერწერასა და ლიტერატურას შორის: იგივე მარკესი, კორტასარი და ბორხესი შემომცქეროდნენ ტილოებიდან... გარეთ რომ გამოვედით, სიცხემ ისე შემაწუხა, წამდაუწუმ მაღაზიებში შევბოდი სულის მოსათქმელად... ბოლოს, როგორც იქნა, ვალოდიას ოფისამდე მივალწიეთ და ჩემმა სიძემ მანქანით შინ წაგვიყვანა...

\*

ღამეა. ჩემს ოთახში ვწევარ და რუსი ემიგრანტის წიგნს ვკითხულობ. ანტისაბჭოური წიგნია. ბევრი რამ მეცნობა ავტორის მიერ აღწერილ საბჭოთა რუსეთში. აკრძალულ ხილს სხვა გემო აქვსო! სული დამიმშვიდდა და მაგნიტოფონი ჩავრთე. ჩემს საყვარელ მელოდიას ვუსმენ: ლარას სიმღერას კინოფილმიდან „დოქტორი ჟივაგო“. წლების მანძილზე პასტერნაკის რომანი, მის მიხედვით გადაღებული ფილმიც და ამ ფილმის მუსიკაც საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო (მუსიკამ რაღა დააშავა?).

ჩამეძინა და ბულატი ოკუჯავა დამესიზმრა. აქ, ამერიკაში, მისი ლექსების წიგნი გამოსცეს და ის ლექსი, სადაც ცნობილი სტრიქონებია: „გამთბარ მიწაში ყურძნის წიპწას სათუთად ჩავდებ და ჩემს მეგობრებს საქეიფოდ სუფრასთან ვუხმობ...“, პოეტს ჩემთვის მოუძღვნია. სიზმარში მე და ბულატი სადღაც გასტროლებზე ვიყავით. ბელა ახმადულინაც ჩვენთან იყო. ბულატი მღეროდა გიტარით ხელში. დარბაზი ღამის დაიქცა ტაშისგან... კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რა პოპულარობით სარგებლობს ეს ქართველი კაცი და რუსი მწერალი! საქართველოში ბევრი უსაყვედურებდა მას (და ახლაც საყვედურობენ), ქართველობას რატომ უღალატეო? ეს უსამართლობაა! განა ოკუჯავა დამნაშავეა, რომ გარუსებული ქართველი კომუნისტის ოჯახში დაიბადა, რომ რუსეთში ცხოვრობდა, რუსული სასწავლებელი დაამთავრა, რუსულად აზროვნებდა, რუსულად წერდა და სხვა აღარაფერი დარჩენოდა, რუსი მწერალი გამხდარიყო? მერე რა დიდებული პოეტი და ბელეტრისტია?! მთელ





მსოფლიოში ცნობილი სიმღერების ავტორი და შემსრულებელი!  
 ვის რა უფლება აქვს, უსაყვედუროს ამ კაცს, რატომ ქართველი  
 მწერალი არ გახდით? რომელ ნორმალურ ადამიანს მოუვა  
 აზრად, დაადანაშაულოს, მაგალითად, ბალანჩინი, რომ იგი  
 გენიალური ამერიკელი ქორეოგრაფი გახდა?! განა ცოტაა მსოფ-  
 ლიოში ასეთი მაგალითები? ბულატმა თავისი ქართული გვარი  
 მაინც შეინარჩუნა და უცხოელთა საამებლად იმათ ყაიდაზე არ  
 გადაუკეთებია! მარტო ამისათვის უნდა ვცეთ პატივი ჩემს  
 მოსკოველ თანამემამულეს, რომელიც, აქ, ამერიკაშიც, დიდი  
 პოპულარობით სარგებლობს!..

\*

ამერიკელები, როგორც გითხარით, ერთ სახელმწიფოში  
 თავმოყრილი სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან. ვის არ  
 შეხვდებით აქ: ინგლისელებს, ფრანგებს, იტალიელებს,  
 პოლონელებს, იაპონელებს, რუსებს, რასაკვირველია, სომხებ-  
 საც... ამ ბოლო დროს ქართველებმაც აითვისეს ეს ქვეყანა! ყველა  
 ესენი „ამერიკელებს“ უწოდებენ თავიანთ თავს. სხვებზე მეტნი  
 კი ამერიკელთა შორის, მე მგონია, მაინც ებრაელები და შავ-  
 კანიანები არიან (ინდიელებს, სამწუხაროდ, არ შევხვედრივარ,  
 ისინი, როგორც ამბობენ, რეზერვაციებში ცხოვრობენ. თუმცა,  
 ვინ იცის, იქნებ ესეც საბჭოური პროპაგანდაა?!).

ადმინისტრაციულ სექტორში უპირველესად „გაამერიკე-  
 ლებული“ ებრაელები მოღვაწეობენ, უფლებამოსილი და  
 შეძლებული ხალხი მათ შორის ბევრია (გვარები, როგორც წესი,  
 გადაკეთებული აქვთ ამერიკულ ყაიდაზე), მომსახურების სფერო  
 კი მთლიანად ზანგებს აბარიათ – „შავ სამუშაოს“ შავები  
 ასრულებენ. ისინი ბევრნი არიან, ამიტომ ამერიკაში პირველად  
 ჩასულ კაცს, ჩემსავით, თავისი თავი ზანგების ქვეყანაში ჰგონია!  
 სიტყვა „ამერიკელი“ – მოქალაქეობას ნიშნავს. ეს ის ადამიანია,  
 ვინც თავისი მშობლიური ენა, მამული, (ზოგჯერ სარწმუნოებაც)  
 დაივიწყა და სხვა ქვეყნის მოქალაქეობა არჩია. ამერიკა და  
 ევროპა (ესეც მგონი, უკვე გითხარით), ისევე განსხვავდებიან,  
 როგორც ცა და მიწა. ამერიკა უფრო საბჭოთა კავშირს ჰგავს,





ერთი განსხვავებით: სსრკ ღარიბი იყო, ამერიკა კი მდიდარი. საბჭოთა კავშირშიც გულმოდგინედ ცდილობდნენ, ადამიანისათვის ეროვნება წაერთმიათ, – გაერუსებინათ ხალხი. მილიონობით ქართველი, უკრაინელი, ლიტველი, უზბეკი, აზერბაიჯანელი თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელი „საბჭოთა მოქალაქედ“ გადააქციეს და დაავიწყეს „ვისი გორისა იყო“! ასევე შეერთებულ შტატებშიც: ყველა „ამერიკელად“ აცხადებს თავს, ინგლისურად მეტყველებს და შვილებსაც ამერიკელებად ზრდის. ამიტომ არის, რომ დღეს „ამერიკელი“ არა მარტო მოქალაქეობას, არამედ უკვე ეროვნებასაც ნიშნავს ... კარგია თუ ცუდია ეს, არ ვიცი. შესაძლოა, მომავალში კაცობრიობა ამ გზით წავიდეს, მაგრამ ჩემთვის, ქართველისათვის, პოლიტიკური „თამაშის“ ეს წესი ყოვლად მიუღებელია!.. მე უკვე გავაკეთე ჩემი არჩევანი, როდესაც რუსეთში ცხოვრების დროს „საბჭოთა მწერლის“ მომგებიან წოდებას სამშობლოში დაბრუნება და „ქართველი მწერლის“ სახელი ვამჯობინე – არც ზნე შემიცვლია და არც დედაენისათვის მიღალატნია!..

\*

გუშინ ჩემმა ყოველთვის მოუცლელმა სიძემ „კულტმა-სობრივი“ ღონისძიება ჩაატარა და იაპონურ რესტორანში წაგვიყვანა. ერთობ საინტერესო რამ ვნახე. დაბალჭერიან ჩაბნელებულ დარბაზში, სადაც აქა-იქ სანთლებივით ელნათურები ბჟუტავდნენ, ბამბუკის ღეროებით გაწყობილ იაპონურ ინტერიერში უცნაური მაგიდები იდგა: თითოეული მაგიდა სამზარეულოს დახლს წარმოადგენდა – ერთი მხრიდან თეთრ-ხალათიანი მზარეული დადიოდა, მეორე მხარეს კლიენტები ისხდნენ. ჩვენც ასეთ მაგიდას მივუსხედით. მაგიდის შუაგულში დაუჟანგავი ფოლადის დაფა (უფრო სწორად, ტაფა) იყო ჩამონტაჟებული, იგი გაეხურებინათ და ამ ტაფა-მაგიდაზე, ჩვენს თვალწინ, მზარეული კერძებს ამზადებდა, ხრაკავდა და წვავდა! ტაფას ოხშივარი ასდიოდა, მაგრამ ჩვენ ვერაფერს ვგრძნობდით: არცა გვცხელოდა, არც საჭმლის სუნი გვაწუხებდა – ძლიერი კონდიციონერები ჰაერს აგრილებდა, ხოლო ჭერში მოთავსებულ



ვენტილაციას კვამლიცა და სუნიც გარეთ გაჰქონდა. ჩვენს თვალწინ მზარეულმა რამდენიმე წუთში კერძები მოამზადა: თევზი მოხარშა, კიბორჩხალები შეწვა, ბრინჯი შეკმაზა და არაყი შეგვითბო. იაპონური არაყი „საკე“ მსუბუქია, 15-გრადუსიანი და მას შემთბარს სვამენ. ძალიან სასიამოვნო სასმელია. კერძებიც გემრიელი აღმოჩნდა: უმი თევზი და წიწაკამოყრილი, ცხარე ფლავი. მზარეული ძალიან არტისტულად მოძრაობდა, ისე სწრაფად იქნევდა ხელებს, გეგონება, რაღაც რიტუალურ ცეკვას ასრულებსო. ყოველივე ამის ფონზე ხმადაბალი მუსიკაც ჟღერდა და მე ვიფიქრე: „ჭკვიანი ხალხი ვართ ქართველები – ჩვენს პურისჭამასაც ხომ ძალიან ალამაზებს, როცა სადმე სოფლად, გლეხის ეზოში მწვადს მივირთმევთ და ეს მწვადი იქვე ჩვენს თვალწინ, შამფურზე იწვება!..“

\*

შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი რეიგანი მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მას არა მარტო მაღლიერებით იგონებენ, არამედ სიყვარულითაც. სამაგიეროდ, ქლინთონი ამერიკელებში სიმპათიას არ იწვევს. პრესა ხომ აკრიტიკებს და თათხავს, ხალხიც ბევრ რამეში არ ეთანხმება. ამერიკელები ფიქრობენ, რომ ქლინთონმა მეტის-მეტად გაათამამა ებრაელები, – არა მარტო ძველმოსახლენი, არამედ ისინიც, ვინც ახლახან ეწვია შტატებს და აქტიურ კონკურენციას უწევს ადგილობრივ ბიზნესმენებს. ქლინთონს კიდევ იმის გამო ემდურიან, რომ იგი „კოჭს უგორებს“ შავკანიანებსა და ჰომოსექსუალისტებს. იცინიან კიდევ. ერთ კაცს ვუთხარი, ჩემი შვილი ამერიკაში არ გამოუშვეს-მეთქი და მიპასუხა: ზანგი, ებრაელი ან პედერასტი რომ ყოფილიყო, ქლინთონი აუცილებლად გამოუშვებდაო!





\*

მე უკვე გითხარით, ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც ადამიანი მომავლის იმედითა და ოცნებით კი არ ცხოვრობს („აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია“-ო, ჩვენ რომ ვმღერით), დაუყოვნებლივ ახორციელებს იმას, რაც დღეს სჭირდება. მე ვგულისხმობ კარგად მოწყობილ ყოფას, ყოველდღიურ მოთხოვნებთან დაკმაყოფილებას და სხვა. მაგრამ ამგვარმა მუდმივმა სწრაფვამ კეთილმოწყობილი ცხოვრებისაკენ რიგითი ამერიკელი შეძლებული ცხოვრების მძევლად გახადა, იგი იძულებულია ავანსად მიღებული კეთილდღეობა დაუღალავი შრომით გამოისყიდოს. დიახ, თავაუღებელი, გამანადგურებელი შრომით! ეს კი თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვაა, რადგან გულისხმობს აღებულ ვალდებულებათა აუცილებელ და დროულ შესრულებას! ამერიკელი სულ რაღაცა „გადასახადებს“ იხდის და სულ მუდამ ყელამდე ვალებშია ჩაფლული! ღმერთი-რჯული, არ ვინატრებდი ასეთ ცხოვრებას!.. პრაქტიციზმი ამერიკელებს ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი და მე უკვე რამდენი ხანია აქ ვარ, მაგრამ ჩემსავით არაპრაქტიკული, იდეალისტი კაცი, რომელიც თავისი 12-ლარიანი პენსიით კმაყოფილდება, ჯერ არ შემხვედრია! ჩემს შემოსავალზე რომ მეკითხებიან, არ ვპასუხობ, რადგან ვიცი, ხუმრობა ეგონებათ და გაიცინებენ ...

\*

ამას წინათ, სამხატვრო სალონში ვიყავი: თბილისიდან ჩემი დისწულის სურათები ჩამოვუტანე ვალოდიას და ჩარჩოების ყიდვა უნდოდა. სალონები თბილისშიც ბევრია, მოსკოვშიც, მაგრამ აქ რაც ვნახე... ძალიან უვიცი და უგემოვნო ხალხი ყოფილა! ფერწერულ სურათს და ფერად ფოტოს ვერ ასხვავებენ და სურათის ჩარჩო სურათზე უფრო ძვირი ღირს! (თუ, რასაკვირველია, მხატვარი რემბრანდტი და სეზანი არ არის, რომელთა შესახებ გაუგონიათ, რომ მათი სურათები მუზეუმებშია გამოფენილი და აუქციონებზე იყიდება).

მთელი სალონი მოფენილი იყო ძვირფას, ორიგინალურ ჩარჩოებში ჩასმული იმ ტიპის „კარტიჩკებით“, ჩვენთან რომ







მატარებლებში ჰყიდიან მოხეტიალე ფოტოგრაფები, სადაც მოსიყვარულე წყვილები ანდა ბაფთიანი კატის კნუტებია გამოსახული! საკვირველია, ღმერთმანი! ამ უმდიდრესი ქვეყნის ობივატელებს კომპიუტერიც აქვთ, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი სახლიც, სამზარეულოც, მანქანაც და, რა უბადრუკი გემოვნებისანი ყოფილან, რომ ამგვარი „მხატვრული ნაწარმოებებით“ რთავენ თავიანთ ბინებს! ერთმა „სურათმა“ განსაკუთრებით მიიპყრო ჩემი ყურადღება: სხვადასხვა ფერის მარმარილოს ფილებისაგან დამზადებულ ჩარჩოში (300 დოლარი ღირდა) ჩასმული იყო გაფერადებული ფოტო, სადაც კოპწია ქალიშვილს მხარზე თეთრი მტრედი აჯდა და მტრედს ნისკარტში კონვერტი ეჭირა!.. სალონში პეიზაჟებიც იყო: პალმები ზღვაში ჩამავალი ზღვის ფონზე, ტბაზე მოცურავე გედები, აფრებგაშლილი ხომალდები ... ამგვარ ნაწარმოებებს, რამდენსაც გინდათ ნახავთ, რუსთაველზე რომ გაიაროთ. ამერიკაში თითოეული მათგანი არანაკლებ 300 და 500 დოლარი ღირს – იმის მიხედვით, თუ რა სიდიდისაა და რანაირ ჩარჩოში ჩასმული! ო, ეს ჩარჩოები! ხის, ალუმინის, პლასტმასის, სარკის, მოოქრული, მოვერცხლილი, მოჩუქურთმებული, ზღვის ნიჟარებისაგან აკინძული... მოკლედ, როგორც მივხვდი, რიგითი ამერიკელისთვის სურათი მხატვრული ნაწარმოები კი არ არის, ოთახის მორთულობის ისეთივე ელემენტია, როგორც, ვთქვათ, შპალერი!

ტექნიკური გავლურების ქვეყანაა ამერიკა და, სხვათა შორის, ამ გავლურების ნიშნები უკვე ჩემს სიძესაც შეეტყო. გემოვნებაზე აღარ ვლაპარაკობ, ვალოდიას უნდა ყველაფერი თავისი საკუთარი ჰქონდეს: სახლიც, ეზო-კარიც, სასოფლო-სამეურნეო იარაღებიც, აუზიც, ჯაკუზიც, საუნაც, კომპიუტერიც, მობილური ტელეფონიც, ფაქსიც, უკანასკნელი მოდელის მანქანაც, ძალლიც ჰყავდეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, თუთიყუშიც (ამ ფრინველზე საზიზღარი არსება არ მინახავს, მარტო მისი ყრანტალი რად ღირს!). სულიერი მოთხოვნილებები კი ჩემს სიძეს პრიმიტიული აქვს, თავისი საქმის გარდა, ცოტა რამ აინტერესებს: წიგნის კითხვა არ უყვარს, საბირჟო „უწყებების“ თვალყურებით და ტელევიზორით კმაყოფილდება.



\*

კიდევ ორი შტრიხი ვალოდიას დასახასიათებლად და მოვრჩები. დაე, ღმერთმა განსაჯოს, რამდენად სამართლიანი ვარ.

ერთხელ ჩემთვის მოიცალა და ტელევიზორის საყურებლად დავსხედით: კარგი ვიდეოთეკა მაქვს და ამერიკულ ფილმებს გაჩვენებო. ცხელოდა, ამიტომ მოვშლილფდით, აქაურ ყაიდაზე ფეხები მაგიდაზე შევაწყვეთ, ცივი ლუდი მოვიმარჯვეთ და ასეთ განცხრომაში მართლაც შესანიშნავი ფილმი ვნახეთ მერილინ მონროს მონაწილეობით. დამთავრდა სურათი, უკვე დაღამებული იყო და მეც ავდექი, რომ დასაძინებლად წავსულიყავი. „მოიცა, სად მიდიხარ? – გამაჩერა სიძემ. – სანამ დაიძინებ, კიდევ ორი სურათი ვნახოთ, ამაზე უკეთესებია!“ რას ამბობ-მეთქი, „ამ კინოსურათმა ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, მეტის ნახვა აღარ შემიძლია. წავალ, ამას მოვინელებ, მერე სხვა ვნახოთ“; სხვა დროს მე აღარ მეცლებათ, – მიპასუხა ვალოდიამ და მე მივხვდი, რომ კინოფილმები და საერთოდ, ხელოვნება მას იმდენად აინტერესებს, რამდენადაც შეუძლია სადმე დაიკვეხნოს: ესა და ეს ფილმი მინახავს და ჩემს ვიდეოთეკაში მაქვსო...

ჩემი სიძის მესაკუთრულ თვისებებზე ბევრი ვთქვი, მგონი მეტიც მომივიდა, მაგრამ არ შემიძლია, არ აღვნიშნო ის გულისხმიერება, რომელიც მან ჩემს მიმართ გამოიჩინა, როცა გაიგო, რომ ავად გავხდი და მკურნალობა მესაჭიროება: ამერიკაში მიმიწვია, საუკეთესო ექიმები დამასია, თვით მანჰეტენის საქვეყნოდ ცნობილ სამედიცინო ცენტრშიც გამაგზავნა გამოსაკვლევად და არსად არასდროს ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმის შესახებ თუ რა დაუჯდა ამერიკაში ჩემი მოპატიუება და მკურნალობა!

გმადლობთ, ჩემო ვალოდია! ღმერთმა სიკეთით გადაგიხადოს, რაც ჩემთვის გააკეთე!

\*

მაინც კარგია, რომ ამერიკაში ჩამოვედი! აქ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მატერიალური კეთილდღეობა ადამიანის ბედნიერების საფუძველი არ არის. კეთილდღეობას კაცი ისევე





მალე ეჩვევა, როგორც სიდუხჭირეს. ადამიანი სხვა რამდისათვის არის გაჩენილი. მირჩევნია, გაცილებით უფრო ღარიბად ვიცხოვრო, მაგრამ იმ სულიერ კმაყოფილებას განვიცდიდე, რასაც ჩემს გაჭირვებულ სამშობლოში, ჩემს ღარიბ ოჯახში ვღებულობ და ის ურთიერთობა მქონდეს ადამიანებთან, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შემიძლია! არა, არავითარ შემთხვევაში არ არის ცხოვრების მიზანი – მატერიალური დოვლათის შექმნა და დაგროვება და, ალბათ, ამაშია მარქსიზმისა და კომუნისტების უდიდესი შეცდომა!

ამერიკელთა უმრავლესობის – ბიზნესმენების, სახელმწიფო მოხელეების და სხვადასხვა პროფესიის ხალხის – სულიერი სილატაკე მით უფრო აშკარად ჩანს, რაც უფრო ტექნიკურად განვითარებულ პირობებში ცხოვრობენ, რაც უფრო მატერიალურად უზრუნველყოფილნი არიან! „ჩემს სახლში რომ მოხვალთ და სასწორზე აიწონებით, დაკუზვა არ დაგჭირდებათ, სასწორი თვითონ გეტყვით – რა სიმაღლისა ხართ და რამდენს იწონით!“ – იკვეხნიდა ერთი ბიზნესმენი, ვისთანაც სტუმრად დამპატიყეს. მივედი და, მართლაც, იატაკის სასწორში ჩამონტაჟებულმა უხილავმა მიკროფონმა ზუსტი ცნობები მომაწოდა ჩემი სიმაღლისა და წონის შესახებ!.. ასეთია ეს ქვეყანა, დაკუზვაც ეზარებათ ტექნიკით განებივრებულ ამერიკელებს!

ამიტომ რა გასაკვირია, რომ ამდენი მსუქანი კაცი და ქალი, რაც ამერიკაშია, სხვაგან არსად შემხვედრია, – არც ჩვენთან, არც ევროპაში, – და ეს მაშინ, როცა არავინ ისე არ ზრუნავს თავის ჯანმრთელობაზე, როგორც ამერიკელები!

ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში უამრავი წიგნის მაღაზიაა. ხალხიც ბევრია შიგ, მაგრამ წიგნს, როგორც ასეთს, მით უმეტეს მხატვრულ ლიტერატურას, მგონი, არავინ კითხულობს. ტყუილად კი არ ტრაბახობდა საბჭოთა კავშირი თავისი „მასობრივი მკითხველით“. ალბათ, ყველას ახსოვს მოსკოვის მეტრო, სადაც კაციშვილს ვერ ნახავდი, რომ წიგნი არ სჭეროდეს ხელში. ამერიკაში ასეთ რამეს იშვიათად ნახავთ. ესენი ძირითადად გაზეთებს კითხულობენ და ტელევიზორს უყურებენ. გამოწერილი აქვთ ცნობარები, სადაც წერია, რომელ მაღაზიაში რა იყიდება და რამდენი ღირს, ბირჟაზე როგორი კურსი აქვს



დოლარს. ქალები მოდის ჟურნალებს ათვალთვლებენ, კულინარიის ახალ მიღწევებს ეცნობიან, მაგრამ ... სად არიან ამ დროს ფოლკნერი, ჰემინგუეი, სტეინბეკი, აპდაიკი, თუნდაც მარკ ტვენი? სად არის ამერიკული კულტურა, რომელსაც ჩვენ, ყოფილი საბჭოთა ხალხი, თვითონ ამერიკელებზე უკეთესად ვიცნობთ?

ერთხელ მე და ტომა სტუმრად წავედით. ერთი შეხედვით, კულტურულ ოჯახში მოვხვდით: მდიდრულად მორთულ ბინაში წიგნებით სავსე კარალებიც იდგა, როიალიც იყო და კომპიუტერიც. ჩემმა შვილმა ოჯახის უფროსს, 60 წლის ბიზნესმენს უთხრა: მამაჩემი ახლახან რუსეთიდან ჩამოვიდა, იქ ცხოვრობდა და მუშაობდაო ... ბიზნესმენმა გაიღიმა და იკითხა: „მამათქვენი, ალბათ, ხშირად შეხვედრია ლევ ტოლსტოის, უსაუბრია კიდეც მასთან?!“ კარგია, რომ ინგლისური არ ვიცი, თორემ ხმამაღლა გავიცინებდი!

\*

სწორია ამერიკელი, როცა ამბობს: ყველაზე დიდი ქონება დროაო. ჩვენ კი, ქართველები, დროს, ეშმაკმა იცის, რაზე ვხარჯავთ! ხუმრობაც გვაქვს ასეთი: „დრო, რასაკვირველია, ფულია, მაგრამ ფული თუ არ გაქვს, მიდი და დრო ხარჯეო“. ნეტავ აზრიანად მაინც ვხარჯავდეთ, უბედურებაც ისაა, რომ უაზროდ ვფლანგავთ!

\*

ჩემი სიძის, ვალოდიას ოჯახი ნიუ-ჯერსის შტატში, პატარა ქალაქ მაუნტენსაიდში ცხოვრობს. მაუნტენსაიდი ინგლისურად, მგონი „მთის ფერდობს“ ნიშნავს და ტყეებით არის გარემოცული. ჩვენი სამსართულიანი შენობა ქალაქის განაპირას დგას, ამას წინათ აივნებიდან ირმების ჯოგი დავინახე, ცხოველები ბალახს ძოვდნენ. ულამაზესი ნუკრი თავის დედიკოს ახლდა და კუდს სასაცილოდ აქიციანებდა. მე და ტომა ჩუმად ვუთვალთვალავდით ირმებს, მერე კატიანემ მოირბინა და ყვირილი მორთო. ცხოველები დაფრთხნენ და ბუჩქნარში გაუჩინარდნენ ... ჩვენი სახლის წინ,





ქუჩის მხარეს, სადაც დილაობით ბალახს ვრწყავ, ბევრჯერ მსუქანი და ბაჯბაჯა მაჩვიც მინახავს. ფრინველებიც ბევრია აქ და ნაირ-ნაირი პეპლებიც. თვითონ ტყე კი უდაბურია და, თუმცა კულტურულად „პარკს“ უწოდებენ, იქ არავინ სეირნობს, არც სოკოს კრეფენ... ტომამ მითხრა, ერთხელ ჩემი სამზარეულოს ფანჯრიდან ფუტკრისხელა ჩიტი დავინახეო, ჭრელი იყო და ძალიან გრძელი ნისკარტი ჰქონდაო. „იქნებ კოლიბრი იყო?“ – გავიფიქრე, რადგან ამერიკაში ყველაფერი მოსალოდნელია. თან ისიც ვიცოდი, რომ ნიუ-ჯერსი თურქეთის პარალელზე, ლამის ტროპიკულ ზონაში მდებარეობს...

გუშინ ოციოდე კილომეტრით გავცდით სახლს და ყვავილების მაღაზიაში ვაშლისა და ატმის ნერგები ვიყიდეთ. მე და ვალოდიამ ეზოში დავრგეთ. თუ გაიხარა, ჩემს სახელზე გაიხარებს და ჩემს შვილს და შვილიშვილებს ჩემს თავს გაახსენებს... ჩვენი სახლის წინ აგვისტოს მზემ ბალახი გადაწვა და ვალოდიამ გადაწყვიტა მიწის მწვანე საფარის განახლება. ვიფიქრე, ალბათ, ნიადაგს დაბარავს და, როგორც ჩვენში იციან, კოინდარს დათესავს-მეთქი. არაფერიც მაგისტანა! იმავე ყვავილების მაღაზიაში 5-7 სანტიმეტრის სისქის მიწის საფენი შევიძინეთ ზედ ამოსული კოინდრით. იგი, სატელეფონო კაბელის მსგავსად, ვეებერთელა ხის კოჭზე იყო დახვეული და სატვირთო მანქანით მოგვართვეს სახლში. მერე მუშები მოვიდნენ, ძველი საფარი მიწას სუფრასავით გადახადეს და ახალი დააფინეს!

\*

უკვე ათი დღე დარჩა ჩემს გამგზავრებამდე. ერთი სული მაქვს, სანამ თბილისში დავბრუნდები. აღარ მინდა არც ამათი მაძლარი ცხოვრება, არც ამათი ტექნიკური საკვირველებანი და არც სიმშვიდე, რაც აქ სუფევს. მენატრება ჩემი ცოლ-შვილი და, რაოდენ ბანალურიც უნდა იყოს, რუსთაველის პროსპექტზე ფეხით გასეირნება ...



\*

სხვათა შორის, აქ რომ ჩამოვედი და, აქაურებივით „შორ-ტებში“ გამოვეწყვე, პირველად შევამჩნიე, რომ ფეხები მისივდება. მუხლს ქვემოთ, კოჭის ძვალთან. ორი კვირა გავიდა და სიმსივნე გაქრა. რაშია საქმე? თურმე ეს კვებასთან ყოფილა დაკავშირებული ... ტომა, საჭმელს რომ ამზადებს, არასდროს არ ამარილებს. ცეცხლზე შემდგარ წვნიანსა თუ შემწვარ-მოხრაკულს მარილს არ აყრის. მარილი, კერძებთან ერთად, სუფრაზე მოაქვს და, ვისაც რამდენი სურს, იმდენს აყრის თავის ულუფას. საქმე ისაა, რომ რამდენიც უნდა დააყაროთ მარილი უმარილოდ დამზადებულ საჭმელს, ორგანიზმში მაინც ნაკლები მარილი ილექება. ამერიკელები კი მარილს „თეთრ სიკვდილს“ ეძახიან: ეს, ერთი შეხედვით, თითქოს უწყინარი შესაკმაზი თურმე სითხეს აგროვებს ორგანიზმში, რაც უარყოფითად მოქმედებს გულზე, წნევასა და, საერთოდ, ჯანმრთელობაზე...

ორგანიზმში მარილების დაგროვების საწინააღმდეგო კიდევ ერთი საშუალებაც მასწავლა ტომამ. დილით, უზმოზე, ადამიანმა 1 ან 2 კოვზი მშრალად მოხარშული ბრინჯი უნდა შეჭამოს (რათქმა უნდა დაუმარილებელი). ამის შემდეგ, მთელი დღის განმავლობაში, რაც უნდა მიირთვათ, ის ბრინჯი ზედმეტ მარილს შეიწოვს და გარეთ გამოიტანს.

და კიდევ: არასდროს არ დალიოთ მაცივარში გაცივებული წყალი! – თუ გცხელათ და გწყურიათ, უმჯობესია ყინული გააღნოთ და ის დალიოთ. გახურებულ გულზე მაცივარში გაცივებულ წყალს თუ დალევთ, ანგინა არ აგცდებათ, რადგან, როგორც უნდა გააცივოთ წყალი, მასში უამრავი მიკრობი რჩება, ყინულში კი მიკრობები იხოცებიან და ამიტომ ჯობია, ყინული მოწუწნოთ ან გააღნოთ და ის წყალი დალიოთ...

\*

ღამის ორი საათია და არ ძძინავს. გარეთ საშინლად წვიმს, ნამდვილი თავსხმაა! ნეტა რა ხდება ახლა თბილისში? როგორ არიან ჩვენები? მათ რაღაცების ყიდვა დამაბარეს და სწორედ დღეს ყველაზე დიდ სუპერმარკეტში ვიყავი, სადაც ყველაფერი





იყიდება – საქონელიცა და სურსათიც. მაღაზიაში საამშენებლო მასალების განყოფილებაა და იქით გავეშურე, რომ გოგია-სთვის წებო მეყიდა. „კარგი წებო ჩამომიტანე, ისეთი, ყველაფერს რომ აწებებს“, – დამაბარა ბიჭმა. წებოების მეტი აქ რა არის: წებო, რომელიც ქაღალდს, მუყაოს, ხეს, ბამბას, კერამიკას, ლითონს, ასე განსაჯეთ, რკინა-ბეტონსაც აწებებს! აირჩიე, რომელიც გინდა! მეც ვარჩიე, ვარჩიე და ბოლოს „ქრეიზი გლუ“ ვუყიდე, რაც ინგლისურად „გადარეულ წებოს“ ნიშნავს! ინსტრუქციაში, რომელიც ტომამ მითარგმნა, ეწერა, რომ ეს წებო ნებისმიერ მასალას აწებებს, თან განუსაზღვრელი ვადით (მარტო ეს რეკლამა რად ღირს!). მე მგონი, გოგიას გაუხარდება...

კატინე შიგადაშიგ ინგლისურს მასწავლის. მე ქართულ სიტყვებს ლათინური ასოებით ვუწერ და მიხარია, როცა ყოველ დილით, სამზარეულოში შემოსული, დილა მშვიდობისაო მეუბნება. მეც, ალბათ, მალე ინგლისურად დაველაპარაკები, რადგან უკვე ვიცი ერთი სიტყვა: „ქრეიზი გლუ“! მაინც რატომ ამეკვიატა ეს „გადარეული წებო“? იქნებ იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი არაჩვეულებრივია და სულ არ ჰგავს იმას, რაც მანამდე მინახავს?!

\*

ნიუ-იორკში ე.წ. „რუსული რადიო“ არსებობს, რაც ფაქტობრივად ებრაული რადიოა. ასევეა რუსული გაზეთიც „ნოვოე რუსკოე სლოვო“, სადაც რუსულად დაბეჭდილ მასალას აშკარად გამოკვეთილი ებრაული აქცენტი აქვს.

რუსულ რადიოს ხელმძღვანელობს ვინმე იოსიფ საცი – ჩემი მოსკოველი მეგობრის, გრიშა გორინის ნაცნობი. რამდენჯერმე დავურეკე ამ კაცს (თუ საცს?) მაგრამ ადგილზე არ დამხვდა. მინდოდა რადიოთი გამოვსულიყავი და ჰონორარის მსგავსი რაღაც მიმეღო, რადგან ამ ხნის მწერალს ცოტა მრცხვენია, რომ ნათესავების კმაყოფაზე ვიმყოფები... იოსიფ საცის პიროვნების შესახებ კი იმაზე უკეთესს ვერაფერს გეტყვით, რაც ტელეფონში მისი „ავტომობასუხისაგან“ მოვისმინე:

„Братья и сестры! дамы и господа! Это Иосиф Сац.



Я перезвоню вам, только вы, пожалуйста, оставьте ваш телефончик или какую-нибудь другую весточку... всегда к вашим услугам, Иосиф Сац!“

იოსიფ საცი საკმაოდ ყურადღებიანი ვინმე გამოდგა. გორინის წერილი რომ გადავეცი, ხელად პროგრამაში შემიტანა და მეორე დღისათვის დანიშნა ჩემი რადიოგამოსვლა: „ქართველი პოეტი მიკროფონთან“. მივედი. ყურებზე ვეება „ნაუშნიკები“ ჩამომაცვებს და საცმა გამაფრთხილა: „მხედველობაში იქონიეთ, ეს გადაცემა ღია ეთერში მიდის, თქვენ მთელი ამერიკა გისმენთ!“ ჩართეს მიკროფონი და მე მოვახსენე „მთელ ამერიკას“ აფხაზეთის ამბების შესახებ, შევარდნაძესაც ორიოდ სიტყვა შევაწიე და იმედი გამოვთქვი, რომ მისი ხელმძღვანელობით საქართველო გაჭირვებას თავს დააღწევს და მსოფლიო ასპარეზზე გავა... ორმოც წუთამდე ვილაპარაკე. მერე დაველოდე რადიომსმენელთა შეკითხვებს. კარგა ხანი არავინ ხმას არ იღებდა, ბოლოს, ვილაცამ მკითხა: „როგორ ცხოვრობენ თბილისში ებრაელები? ამბობენ, რომ მათ დევნიან და ავიწროებენ, მართალია?“ მე ვუპასუხე, რომ ამჟამად ებრაელები თბილისში ისეთსავე გაჭირვებას განიცდიან, როგორსაც ქართველები, თათრები, ბერძნები, რუსები, ქურთები, იეზიდები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები, ანუ მთელი თბილისის მოსახლეობა... სხვა შეკითხვები არ ყოფილა...

ამ ორმოცწუთიან საუბარში, ჩემდა გასაკვირად, 50 დოლარი გადამიხადეს (მე მგონი, ესეც საინტერესო იქნება ჩემი მკითხველისათვის).

\*

დილიდან უფროსები სადღაც წავიდნენ და მე და კატინე მარტო დავრჩით. კატინე სულ რაღაცას საქმიანობდა: ხან საყვარელ თოჯინას „ბარბის“ ეთამაშებოდა, ხან ტელევიზორს უყურებდა, ხან თავის თავს ესაუბრებოდა ისე ჩუმად, რომ ვერაფერს გაიგონებდი... როცა რაღაცას მეტყობდა, რუსულ სიტყვებს ინგლისურში ურევდა და ძალიან სასაცილოდ გამოსდიოდა... დედამ დაავალა, სახლი დააღაგეო და ისიც პირნათლად ასრუ-





ლებდა მშობლის დავალებას. მეც ვეხმარებოდი და ქართულად „გმაღლობთო“ რომ მეტყოდა, ეტყობა, თვითონაც სიამოვნებდა... ერთი სიტყვით, ჩვენს შორის სრული ჰარმონია სუფევდა და მე ვგრძნობდი, როგორ იღვიძებდა ჩემში რაღაც ახალი, მანამდე უცნობი გრძნობა, რასაც შვილიშვილის სიყვარული ჰქვია...

\*

მე და ვალოდია ამას წინათ ჩვენი სახლის მიმდებარე ტერიტორია დავასუფთავეთ: სარეველა ბალახი გავკაფეთ, ხეებს ხმელი ტოტები შევაჭერით, ორმოები მიწით ამოვაკსეთ და გავასწორეთ. ვალოდია ყვავილების ჩითილები მოიტანა და გაზონებში დავრგეთ. ეს წვრილმანი საქმეები ხალისს მმატებს და სამშობლოზე დარდს მიქარვებს. ვალოდია მუდამ დაკავებულია და მე და ტომას საკმარისი დრო გვაქვს სასაუბროდ. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ამდენი არ მილაპარაკია ჩემს შვილთან. რაზე აღარ ვსაუბრობდით? ცხოვრებაზე, ლიტერატურაზე, პოლიტიკაზე, თეატრზე, მოდაზე... მიხარია, რომ ეგეთი ჭკვიანი გოგო მყავს – მოსიყვარულე და კეთილი. მახსოვს, საწყალი დედაჩემი საავადმყოფოში რომ კვდებოდა, – მაშინ ის ტომაზე რამდენიმე წლით უმცროსი იყო, – ჩემზე ანიშნა ექიმს და უთხრა: კვდები, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ამისთანა ბიჭი გამეზარდაო... მეც ამასვე ვიტყოდი ჩემს შვილზე.

\*

დღეს 20 აგვისტოა, მალე თბილისში დავბრუნდები. მოუთმენლობისაგან არ ვიცი, რა ვქნა. უსაქმოდ ვზივარ და ვიხსენებ ყველაფერს, რაც ოდესმე თავს გადამხდომია. მათ შორის, იმასაც, რაც ამერიკაში ჩემს ჩამოსვლას წინ უძლოდა ...

ეს ამბავი დაიწყო იმით, რომ მე და გოგიას უცხოეთიდან მოწვევა მოგვივიდა. ჩემი სიძე ყოფილი საბჭოთა დიპლომატია, კარგად იცის საბჭოთა სისტემის ყველა მაქინაცია, ამიტომ ჩემთვის კერძო მოწვევა კი არ გამოუგზავნია, მისმა ფირმამ ჩემი მიპატიჟება წარმოადგინა ისე, როგორც ჩემი წიგნის გამოცემასთან





დაკავშირებული საქმიანი ვიზიტი. თბილისში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, საბუთები სწრაფად გააფორმეს, გოგიას სურათიც ჩააკრეს ჩემს პასპორტში და მითხრეს: რამდენიმე დღეში მოსკოვში, ამერიკის საელჩოში უნდა გამოცხადდეთ ვიზის ასაღებადო. ამერიკის საელჩო მაშინ თბილისშიც არსებობდა, მაგრამ ვიზის გასაფორმებლად ქართველ მოქალაქეებს რატომღაც ისევ მოსკოვში უწევდათ წასვლა (ეტყობა, საბჭოთა იმპერია მთლად დანგრეული არ იყო, სხვანაირად ძნელია ამის ახსნა!).

ჩემი ცოლ-შვილი ადრე გაემგზავრა მოსკოვს, იქ უნდა დამხვედროდნენ, მე კი ძალიან გამიჭირდა თვითმფრინავის ბილეთის შოვნა. დრო იწურებოდა და არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ბოლოს, ვილაცის რჩევით, რუსეთის საელჩოში წავედი და იქ ნაცნობ თანამშრომელს დახმარება ვთხოვე, გასამრჯელოდ ღვინოსა და არაყს დავპირდი. რუსმა მითხრა: ნუ გეშინია, ჩვენი სამხედრო თვითმფრინავით გაგაფრენო. „სამხედრო თვითმფრინავის“ ხსენებაზე თვალები გამიბრწყინდა: ვიფიქრე, გენერლებთან ერთად ვიმგზავრებ-მეთქი, სათანადო კომფორტითა და მომსახურებით. სინამდვილე კი თურმე სხვას მიმზადებდა ...

საბურთალოში, რუსი ჯარების სარდლობის შენობას რომ მივადექი, კართან მიჭედებულმა ვეებერთელა ტრანსპარანტმა შემაჩერა: „Не приближайтесь, стреляем без предупреждения!“ მივხვდი, რომ მკლავენ. შეშინებულმა აქეთ-იქით გავიხედე, მაგრამ კაციშვილი არ ჩანდა. მერე ჯიხურიდან ავტომატიანმა სალდათმა გამოიხედა და ხელით მანიშნა: შენობას უკანა მხრიდან მოუარეო. წავედი. სამორიგეოდან დავრეკე, გამოვიდა ახალგაზრდა ლეიტენანტი, 27 ათასი მანეთი გამომართვა (ჩვეულებრივი ბილეთიც ამდენივე ღირდა), ქალაქის ნაგლეჯზე ჩემი გვარი ჩაიწერა და მითხრა: ხვალ დილით ვაზიანში, მფრინავთა კლუბში გამოცხადდები, იქიდან გაგაფრენთო!..

თბილისში იმ დღეებში საშინლად ცხელოდა. მანქანა არ მაქვს. საქალაქო ტრანსპორტი ვაზიანში არ დადის. მეგობარს ვთხოვე, თავისი მანქანით სამხედრო პოლიგონამდე მივეყვანე. ჩემოდნითა და ჩანთით დატვირთული მივადექი მფრინავთა კლუბს, მზით გადამწვარ ტრიალ მინდორში რომ იდგა და ძველ





ყაიდაზე, ლოზუნგებით და ლენინ-სტალინის სურათებით იყო  
დამშვენებული. როგორც გამოირკვა, სამხედრო თვითმფრინავი,  
რითაც უნდა გავფრენილიყავი, ჯერ ისევ მოსკოვში იჯდა და  
როდის გამოფრინდებოდა, არავინ იცოდა. ჩრდილში მოვკალათდი  
ჩემი ბარგი-ბარხანით და შუადღის 2 საათიდან ღამის 12 საა-  
თამდე (მე გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ამას!), ათი საათის  
განმავლობაში ველოდებოდი ცნობას მოსკოვიდან თვითმფრი-  
ნავის ჩამოსვლის შესახებ!.. აბის შემტყობინებელი კი არ ჩანდა  
არც მგზავრებში, არც იმ სამხედროთა შორის, ჩვენს გარშემო  
რომ ტრიალებდნენ... თვითონ აეროდრომი, როგორც მითხრეს,  
კლუბიდან ათიოდე კილომეტრით იყო დაშორებული... მთელი  
ღამე, მშიერ-მწყურვალმა ბარაკის ტიპის მუშების საერთო  
საცხოვრებლის პატარა ოთახში გავატარე, სადაც კაცები და  
ქალები ერთად შეგკყარეს. ჭუჭყი და სიმყრალე იდგა ისეთი, შიგ  
არ შეისვლებოდა, მაგრამ, რა მექნა, დაღლილობისაგან ფეხზე  
ძლივს ვიდექი და ძალიან მეძინებოდა. და მაინც ვერა და ვერ  
დავწექი ჭუჭყიან საწოლზე და გარეთ ყოფნა ვარჩიე: კიბის  
საფეხურზე ჩამოვჯექი და ჩავთვლიძე... დღის 4 საათზე უკვე  
ფეხზე ვიყავი და საპირფარეშოს საძებნელად გავიქეცი, მაგრამ  
„სასტუმროში“ („სასტუმროს“ იმიტომ ვეძახი, რომ ღამის გათე-  
ვისათვის ფული გადამახდევინეს!) არც ტუალეტი, არც ონკანი  
არ იყო (ონკანი კი იყო, მაგრამ წყალი არ მოდიოდა!) და, ერთი  
მხრით, საშარდე ბუშტი მისკდებოდა, მეორე მხრით კი წყურვილი  
მკლავდა!..

დღიდან ისევ ჩამოწვა აფრიკული სიცხე. მერე და მერე მზე  
მთლად გადაირია და, სანამ თვითმფრინავის მოსვლა-წასვლის  
აბავს შევიტყობდი, ჩემი მთავარი საზრუნავი სიცხისაგან თავ-  
შესაფრის ძებნა იყო – ხან ერთ კედელს მივეყუდებოდი, ხან  
მეორეს... შუადღემდე ასეთ საცოდაობაში გავატარე, მერე  
ვიღაცამ აბავი მოიტანა: თვითმფრინავი ჩამოფრინდაო! ყველამ  
შვებით ამოვისუნთქეთ, ვვარაუდობდით, რომ დღის 2 საათი-  
სათვის მოსკოვში გავფრინდებოდით. მგზავრებმა ისევ კლუბში  
მოვიყარეთ თავი, დაახლოებით 300 სული ვიქნებოდით: კაცები,  
ქალები, ბავშვები, მოხუცები, ინვალიდები... ვისხედით და დაპი-  
რებულ ავტობუსს ვუცდიდით, რომ ასაფრენ ველზე გავეყვანეთ.





არა და არ დაადგა საშველი მანქანის მოსვლას! ბოლოს, როგორც იქნა, მოხრიგინდა ერთი ძველი, დანჯღრეული ავტობუსი (მე კი, სულელი, „იკარუსებს“ ველოდებოდი!) და მისმა მოსვლამ ნამდვილად „მეორედ მოსვლა“ გამოიწვია!.. სამხედროებმა გინებ-გინებით შიგ ჩატენეს მგზავრები (30 კაცზე მეტი არ ჩაეტია!) და, რადგან ავტობუსი ერთადერთი აღმოჩნდა, მგზავრების გადაყვანას თითქმის სამ საათს მოუნდნენ...

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ბოლოს აეროდრომზე მეც წამიყვანეს. იქ ასაფრენ ბილიკზე სამხედრო-სატვირთო თვითმფრინავი, უზარმაზარი „ილ-62-ე“ იდგა, რკინის მახინა, პრეისტორიულ ჩიყვიან ფრინველს რომ ჰგავს. ასეთი რამ არასდროს მენახა, თუმცა მოსკოვშიც და სხვაგანაც ბევრჯერ მიფრენია. ამ თვითმფრინავში, რომლის სიმაღლე 6-8-სართულიან სახლს აღემატება, ტრაპით თავის კაბინაში მხოლოდ მფრინავები შედიან, მგზავრები კი (უფრო სწორად, ჯარისკაცები, რადგან „ილ“-ებს მარტო სამხედრო ტექნიკა და ჯარის შენაერთები გადაჰყავთ) უკანა მხრიდან სხდებიან თვითმფრინავში. იქ, კუდის ნაწილში, ვეებერთელა რკინის ალაყაფია (თეატრალური ფარდის მსგავსად), გახსნიან ამ ალაყაფს და ტანკია, ქვემეხია, სატვირთო მანქანა თუ ფეხოსანთა პოლკი, ყოველივე ამას მტკერსასრუტით შეიწოვს თავის სტომაქში ვეებერთელა „ილ“-ი ...

აი, სწორედ ასეთ ალაყაფში გაგვატარეს მოსკოვს მიმავალი მგზავრები, ნახირივით შეგვრეკეს თვითმფრინავში, იატაკზე დაგვყარეს და კარი მოგვიხურეს ...

ჩემო მკითხველო, აქ დროებით უნდა შევწყვიტო თხრობა და გთხოვო (თუ, რასაკვირველია, გაინტერესებს მოვლენების განვითარება) ჩემი ნარკვევის პირველი გვერდი გადაიკითხო. მე კი ისევ ამერიკაში დავბრუნდები.

\*

გუშინ „გუგენჰაიმის მუზეუმში“ ვიყავი – თანამედროვე ფერწერისა და ქანდაკების გამოფენაზე (გუგენჰაიმი მუზეუმის დამაარსებლის გვარია). მუზეუმის შენობა თავად ხელოვნების





ნაწარმოებია, არქიტექტურული შედეგრი. იგი ცილინდრული ფორმისაა და შიგნით, ვესტიბიულიდან ბოლო სართულამდე სპირალური ბილიკი მიემართება, რომლის მთელ გაყოლებაზე, ორივე მხარეს, სურათები და ქანდაკებებია გამოფენილი. აღიზარ ზევით და ათვალიერებ. ძალიან მოსახერხებელია. ქვემოთ – სეზანი, ვან გოგი, გოგენი, მოდილიანი, ზემოთ სხვადასხვა ჯურის „აბსტრაქციონისტები“, ხოლო სულ ზევით, ჭერქვეშ, სიგიჟე იწყება, რასაც, თუ არ ვცდები, „პოპ-არტი“ ჰქვია! აქ გამოტანილ „მხატვრულ ნაწარმოებებს“ გულგრილად ვერ ჩაუვლი, აუცილებლად უნდა გაგეცინოს, მაგრამ, ჩამორჩენილ კაცად რომ არ ჩავთვალონ, თავი უნდა შეიკავო და სერიოზული სახე მიიღო (შეგიძლია, ბლოკნოტიც ამოიღო და შიგ რაღაც ჩაინიშნო, – როგორც ზოგიერთები აკეთებენ, ეს უფრო დამაჯერებელს გახდის შენს პროფესიულ მომზადებას). ერთ სართულზე, საიდანაც „ულტრათანამედროვე“ ხელოვნების ექსპოზიცია იწყებოდა, მარმარილოს თეთრ იატაკზე ჟანგიანი მავთულები და საკანალიზაციო მილები ეყარა, კედელზე კი, მოოქრულ ჩარჩოში, ავტორის გვარი და „ნაწარმოების“ სახელწოდება იყო აღნიშნული! მოპირდაპირე მხარეს ქალის მოდური ფეხსაცმელები მიელურსმათ კედელზე და მათ ზევიდან რაღაც კუპრივით შავი, ბლანტი სითხე ეღვრებოდა! ამ „ნაწარმოებსაც“ თავისი ავტორი ჰყავდა! მაგრამ ყველა სანახაობას მაინც ჭერში ჩამოკიდებულმა როიალმა გადააჭარბა, რომლის სახურავი ხან იხსნებოდა, ხან იხურებოდა და იქიდან როიალის შიგნეულობა ცვიოდა!..

გაბრაზებულმა სპირალური ბილიკით ქვემოთ ჩავირბინე და ისევ ჩემს სათაყვანებელ მხატვრებს მივაშურე. იქვე, მათ სურათებთან, ჩვეულებრივი სახანძრო ონკანი შევნიშნე. მივუბრუნდი მუზეუმის მსახურს და ვკითხე: ეს ქანდაკება ვისიამეთქი? მსახურმა, ცხადია, ვერც ჩემი ქართული გაიგო, ვერც ირონია დამიფასა და მხოლოდ მხრები აიჩეჩა ... და მაინც გამოფენიდან გულნაკლული არ წამოვსულვარ; წასვლის წინ ჩემი ყურადღება ერთმა ჭკვიანმა სურთმა მიიპყრო, რომლის ავტორი ჩემთვის უცნობი მხატვარი აღმოჩნდა. დიდი ზომის ტილოზე გაფოთლილი ბუჩქი ეხატა. ხშირი ფოთლები სურათის



მთელ ზედაპირს ფარავდა და, კარგად რომ დაუკვირდებოდი, ფოთლებს შორის, ბუჩქის სიღრმეში, მკაცრად და ცნობის-მოყვარედ გამომზირალ თვალებსაც შეამჩნევდით. თითქოს იქ, ბუნების წიაღში, სულიერი არსება იჯდა და გითვალთვალებდათ! სურათს ეწოდებოდა: „ადამიანო, მე შენ ყოველთვის გიმზერ!“ ფერწერის თვალსაზრისითაც მომეწონა ეს სურათი, მწვანე ხალიჩას ჰგავდა და სიამოვნებით დავკიდებდი ჩემს საწოლ ოთახში, როგორც სამკაულსა და ... გაფრთხილებასაც!..

\*

ჯანმრთელობის მხრით ასე კარგად არასდროს ვყოფილვარ! ტომა სულ თავზე მევლება, აღარ იცის, რით მასიამოვნოს: ხან თავისი ბიბლიოთეკიდან უცნობი მწერლის წიგნს მომცემს, ხან თანამედროვე მუსიკას მომასმენინებს, ხან ეგზოტიკური კერძით გამიმასპინძლებს... თან სულ ჭკუას მარიგებს, როგორ უნდა მოვიქცე და ვიკვებო, რომ დიდხანს ვიცოცხლო. პაპიროსის წევას მაინც ვერ გადამაჩვია და ვეწევი გადასარევ ამერიკულ სიგარეტებს, რომლის მსგავსი არც მოსკოვში, არც თბილისში არ მომიწევია! შაბათობით ორივენი „სუპერმარკეტში“ მივდივართ მთელი კვირის სამყოფი სანოვაგის საყიდლად. თუ კატინეც ჩვენთან არის, აუცილებლად „მაკდონალდსში“ შევისეირნებთ, რომ უგემრიელესი შემწვარი კარტოფილით და ნაყინით ვისიამოვნოთ ... მოკლედ, სამოთხეში ვარ! ტყუილად კი არ დავარქვი ჩემს ნარკვევს „უნახავმა რა ნახაო?!“ განსაკუთრებით „სუპერ-მარკეტები“ მაგიჟებენ! ყველაფერი არის, რასაც ადამიანი ინატრებს! შიგნით, მაღაზიაში, ერთ გამყიდველსაც ვერ ნახავთ: მხოლოდ თაროებია და მათზე გამოფენილი საქონელი. კულინარიის განყოფილებაში, ვიტრინებს შორის, მაგიდებია ჩარიგებული, სადაც მყიდველს შეუძლია გემო გაუსინჯოს პროდუქტს, რომლის შეძენასაც აპირებს. თუ პროდუქტი ცივად იჭმება, მაცივრიდან ამოგიღებენ, თუ გაცხელებას საჭიროებს, გაგიცხელებენ, თან გამაგრებებელ წყალსაც მოგართმევენ, რომ ყელზე არ დაგადგეს ... ამაში ფულს არ გახდევინებენ. ასე რომ, თუ თქვენ გშიათ, საჭმელს ნუ იყიდით, მუქითად დანაყრდით, სანამ





მაღაზიაში იმყოფებით (ეს, რასაკვირველია, ჩემისთანა უნდა ხავებს“ ეხება, თორემ ადგილობრივი მოსახლეობა ასე არ იქცევა!)

\*

ნიუ-იორკში ერთი უბანია, „ბრაიტონ-ბიჩს“ ეძახიან. – ეს საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული ემიგრანტების რაიონია. ადრე აქ ზანგები ცხოვრობდნენ, მაგრამ ახალჩამოსულები იმდენად აგრესიულები აღმოჩნდნენ, რომ შეავიწროეს და განდევნეს შავკანიანი მოსახლეობა. „ბრაიტონ-ბიჩში“ რომ მოხვდები, შენი თავი ოდესაში ან გომელში გეგონება: ვიწრო, დანაგვიანებული ქუჩები, ყველგან რუსული წარწერები, ებრაული აქცენტით მოყაყანე ბრბო... ქუჩებში იმდენი ხალხია, თავისუფლად ვერ გაივლი!..

საბჭოთა რეჟიმის ნოსტალგიით დაავადებული კაცი „ბრაიტონ-ბიჩში“ ხელად განიკურნება: აქ მისთვის ყველაფერი ნაცნობი და მშობლიურია: გრძელი რიგებიც, გამყიდველებიც, უხეშობაც, ლანძღვა-გინებაც (განსაკუთრებით, რუსული დედის შეგინება!). აი, სად უნდა დაასახლო დღევანდელი კომუნისტები: ამხანაგი ზიუგანოვი და ბატონი პანტელეიმონი! არც სხვებს აწყენდა ამ „სამოთხეში“ ყოფნა, რომ ცოტა ჭკუაზე მოსულიყვნენ...

ორი დღის წინ ჩემს სიძეს რაღაც წვეულება ჰქონდა და მე და ტომამ „ბრაიტონ-ბიჩზე“ წავედით დელიკატესების საყიდლად. ტომამ თქვა, იქ კარგი ქაშაყი და სოკოს წნილი იყიდებაო. „სელიოდკა“ და „გრიბოჩკები“ ხომ რუსული სუფრის მშვენიერებაა!.. მაღაზიას რუსულად გასტრონომი ეწერა. შიგნით ხალხის ტევა არ იყო. ამერიკაში რიგები არ მინახავს, აქ კი ისეთი ორომტრიალი იდგა, გეგონება, ომი დაიწყოს და მოსახლეობა პროდუქტებს იმარაგებს, რომ შიმშილით არ ამოწყდესო! ტომამ ერთ რიგში დაიკავა ადგილი, მე მეორეში ჩამაყენა, სალაროსთანაც გავაფრთხილეთ ხალხი ... მოკლედ, მშობლიურ სტიქიაში ვიგრძენი თავი, თითქოს მოსკოვში ან თბილისში ვიმყოფებოდი...



\*

წუხელ მთელი ღამე არ ძძინებია, რატომღაც ჩვენი ჭაბუა ამირ-  
ეჯიბი გამახსენდა და ძილ-ღვიძილში საუბარი გავუბი. თუმცა,  
რა საუბარი იყო, მარტო მე ვლაპარაკობდი, ის კი ღიმილით  
შემომცქეროდა. კარგი სიტყვები მინდოდა მეთქვა ჩვენი საუკუნის  
უდიდესი ქართველი მწერლისათვის იმიტომ, რომ სწორედ ამე-  
რიკაში წასვლის წინ წავიკითხე მისი „გორა მბორგალი“ და ჩემი  
შთაბეჭდილება ვერავის გავუზიარე ...

ყოჩაღ, ჭაბუა! აქამდე ხომ დათა თუთაშხიად მეგულებოდი,  
ახლა გორა მბორგალადაც გამომეცხადე – ორივე მაგრები ხართ!  
მაგრამ დათაცა და გორაც ჩემთან წარსულიდან გამოაგზავნე,  
შენ კი დღევანდელ საქართველოსაც უნდა შეაწიო შენი მართალი  
სიტყვა. ხომ ხედავ, როგორ შეიცვალა ცხოვრება?

ჩვენს სამშობლოშიც ბიზნესმენებმა და სპეკულანტებმა  
დაიკავეს ბობოლები და „სუკის“ თანამშრომლების ადგილები,  
მაგრამ, ღმერთი-რჯული, ბენზინით მოვაჭრე „საველიჩს“ ის  
შენი ჩეკისტი „მიტილენიჩი“ მაინც სჯობია!...

ზუსტად ამ ფრაზით დავამთავრე საუბარი ჭაბუა ამირეჯიბ-  
თან და, უკვე თენდებოდა, როცა ჩამეძინა ...

\*

ჩვენი სახლი მალლობზეა და, როცა აივანზე გადიხარ,  
თვალწინ იმხელა სივრცე იშლება, გეგონება სიღნაღიდან  
ალაზნის ველს გადაჰყურებდე. ერთი განსხვავებაა მხოლოდ:  
ჰორიზონტზე ცათამბჯენების დაკბილული ზოლი მოჩანს და  
თვითმფრინავები დაფრინავენ ხშირად – სულ ახლო ორი  
აეროდრომია.

ამერიკიდან ჩემი წასვლის დღე – 29 აგვისტოა. ვალოდიას  
ვთხოვე, სალაროში მივიდეს და 25-სათვის გადააკეთონ ბილეთი.  
ველარ ვძლებ. „ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა“, ისე  
მომენატრნენ ჩვენები...

ჩაიდან ტომას არ აქვს: საკეტს გახსნი და ონკანიდან  
მდულარე წყალი მოედინება. ჩაყრი ჭიქაში ყავას ან ჩაის ფხვნილს  
და სვი, რამდენიც გინდა! (ტექნიკური ცხელი წყალი ცალკეა,



იმით ჭურჭელს რეცხავენ...)

ერთ საღამოს ჩვენთან სტუმრები მოვიდნენ, ვალოდიას ნაცნობი ამერიკელები. სამნი იყვნენ, ერთმა, პოლონური წარმოშობის კაცმა, იურისტად გამაცნო თავი. დანარჩენი ორნი, ვერ გავიგე, რომელ ეროვნებას ეკუთვნოდნენ ან რა საქმიანობას ეწეოდნენ... აქეთური-იქითური ვთქვით, ბოლოს სიტყვამ მოიტანა და ვკითხე: „თუ გიფიქრიათ, რისთვის ცხოვრობთ ამ ქვეყანაზე?“ ჩვენი სტუმრები, ეტყობა, აბსტრაქტულ ფილოსოფიურ მსჯელობას მიჩვეულნი არ იყვნენ და არ მიპასუხეს. მე კი განვაგრძე: „ნუთუ იმისათვის ცხოვრობთ, რომ უფრო მდიდრები გახდეთ, ვიდრე ხართ? რომ ერთი მილიონის მაგივრად ათი გქონდეთ, ერთი სახლის გარდა კიდევ ორი აიშენოთ, „ლინკოლნებს“ და „მერსედესებს“ არ დასჯერდეთ და საკუთარი თვითმფრინავიც შეიძინოთ? განა ეს არის ცხოვრების მიზანი?“ აბა, თქვენი აზრით, ცხოვრების მიზანი რა არის? თქვენ რისთვის ცხოვრობთ? – მკითხეს. გამიხარდა, რომ ცხოვრების მთავარ საკითხზე ჩემი შეხედულების გამოთქმის საშუალება მომეცა და ტომას ვთხოვე, ზედმიწევნით ზუსტად ეთარგმნა ჩემი პასუხი. „ამერიკელებს ერთი მწერალი გყავთ, კურტ ვონეგუტი, შესაძლოა, ვინმეს გაგიგონიათ? ნობელის პრემიის ლაურეატია. მის რომანში „სასაკლაო № 5“ ასეთი იგავია: „ღმერთმა სამყარო შექმნა. სიცოცხლეს მისცა სათავე, მოაშენა მიწაზე ცხოველები, ფრინველები, მწერები, ბოლოს ადამიანიც გააჩინა. ადამიანს ღმერთმა აზროვნების უნარიც მისცა, რამაც, ცოტა არ იყოს, გაათამამა „ჰომო საპიენსი“. მან მიიხედ-მოიხედა და ჰკითხა მამაზეციერს: – კი, მაგრამ... ყოველივე ამას რა აზრი აქვს? ღმერთს გაუკვირდა: – შენ ფიქრობ, რომ ყოველივე ამას აზრიც უნდა ჰქონდეს? – რასაკვირველია! – თავდაჯერებით მიუგო ადამიანმა. ღმერთს ჩაეცინა: – მაშ, შენთვის მომინდვია ამ აზრის გამოცნობა... და უფალი იმწამსვე გაუჩინარდა. მას შემდეგ ადამიანი სულ ცდილობს სამყაროს აზრის გამოცნობას“.

ცხოვრების მიზანიც, ალბათ, ეს არის, რომ ადამიანმა გაიგოს – რისთვის და რატომ არსებობს ამ სამყაროში? – „ეს ხომ ფილოსოფიაა! – შესძახეს ამერიკელებმა, – თქვენ ის გვითხარით, პრაქტიკულად რისთვის ცხოვრობთ? განა თქვენი პირადი





მდგომარეობის გაუმჯობესებაზე არ ფიქრობთ? არ გინდათ, ბევრი ფული გქონდეთ და კარგად იცხოვროთ?“ „რასაკვირველია, მინდა, მაგრამ რას გულისხმობთ „კარგ ცხოვრებაში“? შეძლებულ ცხოვრებას? ჩემი ცხოვრების მიზანი ადამიანებთან ურთიერთობაა! ეს არის ჩემთვის „კარგი ცხოვრება“, როცა გარშემო მეგობრები და ახლობლები მახვევია! მათ გარეშე არავითარი აზრი არა აქვს ცხოვრებას! ეს, თუ გნებავთ, მარტო ჩემი კი არა, მთელი ქართველი ერის მსოფლმხედველობაა!.. არ ვიცი, რამდენად გაიგეს სტუმრებმა ჩემი მღელვარე მონოლოგი, მაგრამ „მსოფლმხედველობის“ ხსენებაზე უცებ მოიწყინეს და რუსულ არაყს მიეძალნენ.

\*

ჩემი სიძე, ამერიკელ ბიზნესმენთა მსგავსად, პირველ ყოვლისა, თავის „პრესტიჟზე“ ზრუნავს. „პრესტიჟში“ იგულისხმება საკუთარი სახლი „პრესტიჟულ“ რაიონში, ჩაცმადახურვა, წარჩინებულ ნაცნობთა წრე, უახლესი გამოშვების მანქანა, ჯიშისანი ძაღლი და ... თუთიყუშიც! ვალოდიას თქმით, მანკეტენის ზოოლოგიურ მაღაზიაში ეს ფრინველი 1000-2000 დოლარამდე ღირს. ჩვენებმა თავის „კოკოში“ 1500 მისცეს! ერთობ საზიზღარი ვინმეა ეს „კოკო“! როცა გალიაშია, განუწყვეტლივ იქეჩება თავის ბუმბულებში და, ისე დაიკორტნა სხეული, მკერდზე ერთი ბუმბულიც არ შერჩა. თან გამაყრუებლად ჩხავის. ვალოდია ლამის შეყვარებულია თავის თუთიყუშში და, როცა სამსახურიდან ბრუნდება, გალიიდან უშვებს. ოჯახის წევრებს, თვით ტომასაც, ეშინიათ „კოკოსთან“ ახლოს მისვლა, ბოროტია და იკბინება: კაკალს ტეხს ნისკარტით და ადამიანს რაღას უზამს?! გალიიდან გამოუშვებენ და ოთახში დაფრინავს: ხან ჭალზე დასკუბდება, ხან განჯინიდან ლარნაკს გადმოაგდებს და გატეხს, ხან კიდევ ვინმეს თავზე დააჯდება და დაასკლინტავს. მისი შიშით ტელევიზორისათვის ვეღარ მიყურებია! არ ვიცი, მოვეწონე თუ ჩემი დაბრიყვება უნდა, მაგრამ რატომღაც მე ამომიღო ნიშანში: თმაში ჩამაფრინდება და აუცილებლად მოისაქმებს! ერთი-ორჯერ ხელი შემოვკარი (თან





ისე, რომ ვალოდიას არ დაენახა), მაგრამ ხომ არ შემიძლია ერთდროულად ტელევიზორსაც ვუყურო და თუთიყუშსაც ვებრძოლო?! ვერ გამიგია, რა სიამოვნებას ჰგვრის ჩემს სიძეს ამ ფრინველის სახლში გაჩერება?... საქართველოში ისეთი ლამაზი ვარიები მინახავს, მიუქარავს თუთიყუშს, მაგრამ ეს ხომ „პრესტიჟული“ ფრინველია, თან 1500 დოლარი ღირს!

„პრესტიჟულობის“ ხუშტური მეტად გავრცელებულია წარჩინებულ ამერიკელთა წრეში. ამგვარი რამ ჩვენშიც შემიძინა. მაგალითად, სამხედროების კასტა საბჭოთა კავშირში ყოველთვის დახურულ სტრუქტურას წარმოადგენდა, მასში მკაცრად იცავდნენ სუბორდინაციას: გენერლები გენერლებთან ერთიანდებოდნენ, სერჟანტები – სერჟანტებთან. პოლკის უფროსის ან მაიორის ცოლი არასდროს თავს არ გაუყადრებდა ლეიტენანტის ან სერჟანტის ცოლს – მათ შორის დისტანცია არსებობდა: საყოფაცხოვრებო პირობებიც განსხვავებული ჰქონდათ, მატერიალური შემოსავალიც, მოქცევაც, ჩაცმულობაც (დიდი ჩეხოვი ამგვარ ყოფას „მეშხანურს“ უწოდებდა)... ამერიკელი ბიზნესმენების და მოხელეების ყოფა-ცხოვრებას რომ ვუკვირდები, აქაც იგივეა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, თუ ჩვენი სამხედროები წოდებების მიხედვით იყოფიან, ამერიკელი ბიზნესმენები და მოხელეები ხარისხდებიან მატერიალური შემოსავლის მიხედვით: მდიდრები მდიდრებთან არიან, ღარიბები – ღარიბებთან...

\*

ვალოდიას ვიღაც რუსი ესტუმრა. ყაზანელი ბიზნესმენია; ასეთებს ახლა „ახალ რუსებს“ ეძახიან. სახლის ყიდვა უნდა ამერიკაში. ერთი სახლი უკვე აქვს ფლორიდაში, ახლა მეორეს ყიდულობს. დღესვე, საღამოს ფლორიდაში გაფრინდება, სადაც ცოლი ისვენებს. ძალზე გაუნათლებელი კაცია. არა მგონია, ერთი წიგნი მაინც წაეკითხოს. სახლის ასარჩევად მეც წამიყვანეს. მოვიარეთ ჩვენი ულამაზესი მაუნტენსაიდი და სამი შენობა დავათვალიერეთ: ერთი 600 ათასი დოლარი ღირდა, მეორე 400 ათასი, მესამე – 300 ათასი. კარგი სახლებია. სამსართულიანი.



ინდივიდუალური პროექტით აშენებული. ისეთი ლამაზებია, ჟურნალ „ამერიკის“ ფერადი რეპროდუქცია გეგონება! თითოეულ სახლს ბაღია აკრავს. ყოველ სახლში 10-12 ოთახია, რამდენიმე აბაზანა, აუზი, ბუხრები ... ზოგი სახლი შუა საუკუნის კოშკს ჰგავს, ზოგი – თანამედროვე სტილში აშენებულ მოდერნისტულ კოტეჯს ... მე 400-ათასიანი სახლი შევუქე მყიდველს. დამეთანხმა. ეს კაცი თურმე პეტერბურგშიც ქარხნის ყიდვას აპირებს... საინტერესოა, „რობინზონ კრუზო“ წაკითხული თუ აქვს?

\*

ამას წინათ ერთი საინტერესო პიროვნება გავიცანი. მილიონერია. სამედიცინო აპარატურის დამამზადებელი ფირმის პრეზიდენტი. ეროვნებით რუსია, თან არისტოკრატი. პაპამისი ნიკოლოზ მეფის ადიუტანტი ყოფილა და ცხრაასჩვიდმეტში დაუხვრეტიათ. მათი ოჯახი პარიზში გაქცეულა. კირილე (ასე ერქვა ჩემს მასპინძელს) იქ დაიბადა ... უკვე კარგა ხანია ამერიკაში ცხოვრობს. ცოლიც ჰყავს, შვილებიც, მაგრამ ახალგაზრდა მეუღლე თავისი საქმით არის გართული, შვილები კი მიმოიფანტნენ და, მამამ თვითონაც არ იცის, სად ცხოვრობენ... სანამ ვახშმად დავსხდებოდით, სახლი დამათვალიერებინა. გარაჟიც მაჩვენა, სადაც სამი მანქანა იდგა. მერე აივანზე გაშლილ სუფრას მივუსხედით. მაგიდაზე სასმელ-საჭმლის გარდა ტელეფონის აპარატებიც იდგა. „გინდათ, მეცხრამეტე საუკუნეს დაგალაპარაკოთ?“ – მოულოდნელად მკითხა კირილემ. მინდამეთქი. მან კი განაგრძო: „პარიზში ბიცოლაჩემი ცხოვრობს, 104 წლისაა. ახლავე შეგაერთებთ“. კირილემ ნომერი აკრიფა და ყურმილს ჩასძახა: – „– გამარჯობა, ელიზა! ახლა ერთ ქართველს დაგალაპარაკებ, მოსკოვში ცხოვრობდა და, ალბათ, გესიამოვნება მასთან საუბარი...“ ყურმილი გამოვართვი და მოხუცი ქალის მთრთოლვარე ხმა გავიგონე: „გამარჯობათ, ჩემო ბატონო! ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ და ნუ დამძრახავთ, თუ გეტყვით, რომ ძალიან მშურს თქვენი... რუსეთში გიცხოვრიათ... მე სულ იმას ვნატრობ, ერთხელ მაინც გამატარა ჩემს პეტერ-





ბურგში, სანამ ცოცხალი ვარ...“ ალერსიანად მესაუბრებოდა, თან საუცხოო რუსულით, იმ ენით, რაზეც ტურგენევი და ბუნინი წერდნენ...

კირილესთან სტუმრობა ამით არ დამთავრებულა. წასვლის წინ ვკითხე: – უზრდელობაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ, იქნებ მიაბოთ, როგორ მიაღწიეთ იმას, რაც გაქვთ: სახელს, მდგომარეობას, შეძლებას? ჩემმა მასპინძელმა გაიღიმა, მეგობრულად მხარზე ხელი დამადო და დაიწყო: „თქვენ, ჩემო ძვირფასო, საბჭოთა კავშირში ცხოვრობთ, ამიტომ შეიძლება არ დაიჯეროთ; რასაც გიაბობთ კაპიტალისტურ პროპაგანდად მოგეჩვენოთ. არა, გეთაყვა, სრულ სიმართლეს მოგახსენებთ. რა ძალა მაქვს, მოგატყუოთ, ჩვენ ხომ ვერასდროს ვეღარ შევხვდებით, მე მოვხუცდი, თქვენც ახალგაზრდა არ ხართ... ერთი სიტყვით, მე და ჩემი ძმა პარიზიდან ამერიკაში რომ ჩამოვედით, ძალიან გაგვიჭირდა. ფული არ გვქონდა, მშობლებიც არ გვეხმარებოდნენ, საკუთარი თავი თვითონ უნდა გვერჩინა. ჯარისკაცური „ბატინკები“ ჩავიცვით და დავიწყეთ კარდაკარ სიარული, სამუშაოს ვეძებდით. შტატიდან შტატში გადავდიოდით, ხან მიწას ვთხრიდით, ხან ტყეს ვჩეხდით, ხან საქონელს ვუვლიდით... რას არ ვაკეთებდით?! ერთი დღის სამყოფ გასამრჯელოს გვაძლევდნენ და ამით ვკმაყოფილდებოდით, ახალგაზრდები ვიყავით, უდარდელები, მეტი რა გვინდოდა?... ერთხელ აქ, ნიუ-ჯერსის შტატში, ვილაც ბიზნესმენის სახლთან შეშას ვჭრიდით. მოულოდნელად ფანჯრიდან სახლის პატრონმა გამოიხედა და დამიძახა: მანდ, საფოსტო ყუთში წერილები იქნება და ამომიტანეო. მივუტანე. ჩემი თანდასწრებით ერთი კონვერტი გახსნა და სინანულით თქვა: ფრანგულად წერია, მე კი ფრანგული არ ვიცი! ეტყობა, ხვალამდე უნდა მოვიცადო, სანამ ოფისში მივალ და თარჯიმანს გამოვიძახებო. ფრანგული მე ვიცი-მეთქი. „საიდან?“ – გაუკვირდა ბიზნესმენს, რადგან ღარიბულად მეცვა და განათლებულ კაცს არ ვგავდი. – საფრანგეთიდან ვარ, პარიზში ვსწავლობდი-მეთქი და იქვე, სახელდახელოდ ვუთარგმნე წერილი, თან ზოგიერთი ჩემი მოსაზრებაც გამოვთქვი იმ საკითხზე, რასაც წერილი ეხებოდა. ნასწავლი ყმაწვილი ყოფილხარ, ჭკუაც გიჭრის, შეშის ჭრა რა შენი საქმეაო?! – მითხრა



ბიზნესმენმა. – მოდი ხვალ ჩემთან ოფისში, რამეს მოვიფიქრებთო. იმ დღიდან შეიცვალა ჩემი ცხოვრება. სუფთა სამუშაოც მომცეს, კარგი ხელფასიც დამინიშნეს, ბინის საკითხიც მოგვარდა ... მოკლედ, ორ წელიწადში იმ ბიზნესმენის თანაშემწე გავხდი, ბოლოს კი, როცა იმდენად გავმდიდრდი, რომ ფირმის აქციები შევიძინე, ფირმა ჩემს ხელში გადმოვიდა და ახლა პრეზიდენტი ვარ!..

– კი, მაგრამ ... ასე რატომ გწყალობდათ ის კაცი? იქნებ დაუნათესავდით? მისი ქალიშვილი ხომ არ ითხოვეთ? „როგორ გეკადრებათ, – მომიგო კირილემ, – უბრალოდ, მასაც და მის ფირმასაც ხელს აძლევდა ჩემთან თანამშრომლობა! კარგი სპეციალისტი ვიყავი და როგორ შემეღწეოდნენ? მე მათ მოგებას ვაძლევდი!..“

შინ რომ დავბრუნდი, დიდხანს არ დამეძინა. სულ კირილეს სახე მედგა თვალწინ ... და გამახსენდა ჩემი საუბარი აწ განსვენებულ ოთარ ნოდიასთან, როცა მოსკოვიდან თბილისში დაბრუნებული სამუშაოს ვეძებდი და ყველგან უარით მისტუმრებდნენ. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა არასდროს მქონია, პირიქით, მუდამ მოკრძალებულად ვაფასებდი ჩემს შესაძლებლობებს, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ვიცოდი: ჩემთვის ყველაზე შესაფერი სამუშაო რუსული ჟურნალის „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქტორობა იქნებოდა! ამ ჟურნალში ხელმძღვანელობა ბევრჯერ შეიცვალა, მაგრამ რედაქტორის ადგილი ჩემთვის არავის შეუთავაზებია. რაში იყო საქმე? განა „ზევით“ არ იცოდნენ, რომ ჩემზე უკეთეს კანდიდატურას ვერ ნახავდნენ? მე ხომ 35 წლის მანძილზე მოსკოვში ვცხოვრობდი და სულ რუსულ პრესასთან მქონდა საქმე?.. და როცა ოთარს გავუზიარე ჩემი გასაჭირი, მან მითხრა: „შენ არასდროს დაგნიშნავენ „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქტორად. იცი, რატომ? იმიტომ, რომ შენზე უკეთესი კანდიდატურა არ არსებობს, შენ ამ საქმისათვის ხარ გაჩენილი! ჩვენში ხომ როგორ ხდება? თანამდებობაზე ან ნაცნობობით ნიშნავენ, ან ქრთამით. პროფესიული მომზადება არავის აინტერესებს. პირადად შენ სოფლის მეურნეობის მინისტრად უფრო დაგნიშნავენ, ვიდრე ჟურნალის რედაქტორად, რადგან, პირველ შემთხვევაში, შენ,





როგორც უვიცი, ვალდებული იქნები მონურად დაემორჩილო და  
ემსახურო იმათ, ვინც მინისტრად დაგნიშნა; ხოლო, მეორე  
შემთხვევაში, როგორც მცოდნე პროფესიონალი, თვითნებობას  
გამოიჩენ და ფეხებზე დაიკიდებ იმათ, ვინც რედაქტორობა  
გიწყალობა!.. მიხვდი, რას ვაძობ?“

ჩემო მკითხველო, შენ თუ მიხვდი?

\*

ჩვენს სახლთან მანქანების მოსახვევია. დილაობით, როცა  
ბალახს ვრწყავ, ერთი შემთხვევა არ მახსოვს, რომ მანქანას  
გაეველოს და მძღოლს ჩემთვის სალაში არ ეთქვას: კაცია თუ ქალი,  
ზანგია თუ თეთრკანიანი, სვლას შეანელებს, თავს გამოყოფს,  
ხელს დამიქნევს და „ჰელოუ!“ მომამახებს. კარგია ეს! ჩვენს  
სოფელშიაც ასე იცოდნენ ძველად: ნაცნობსა თუ უცნობს  
გლახკაცი ყველას ესალმებოდა. „სალამი ღვთისააო,“ – ამბობდ-  
ნენ სოფლელები. ახლა ეს წესი დაირღვა. ალბათ, იმიტომ, რომ  
გაუჭირდა ხალხს და ბევრ კარგ თვისებასთან ერთად ზრდი-  
ლობაც დაკარგა. მაგრამ მაუნტენსაიდი ხომ ქართული სოფელი  
არ არის! თანამედროვე ამერიკული ქალაქია. მაშ, საიდან აქ  
პატრიარქალური ქართული ჩვეულება? მე მგონი, პატრიარ-  
ქალობა და ქართველობა არაფერ შუაშია, უბრალოდ, ამერიკელი  
მოქალაქე კმაყოფილია თავისი ცხოვრებით და ყველას მიმართ  
კეთილად არის განწყობილი...

როგორც ჩემმა შვილიშვილმა ანიკომ მითხრა, ამერიკაში  
თურმე ყველაზე უპატიებელ დანაშაულად რასიზმი ითვლება.  
საკვირველია, ღმერთმანი! საბჭოთა პროპაგანდა სულ იმას  
გაიძახოდა და სკოლაშიც ამას გვასწავლიდნენ, ამერიკა რასიზმის  
ქვეყანააო, „კუ-კლუქს-კლანი“ მარტო იქ არსებობსო ... ანიკოს  
თქმით კი შეერთებულ შტატებში ადამიანის დაჩაგვრა მხოლოდ  
იმის გამო, რომ იგი შავკანიანია ან სხვა ეროვნებას ეკუთვნის,  
მიუტევებელ დანაშაულად ითვლება! მე მაინც მგონია, ეს უფრო  
სახელმწიფოს ოფიციალური პოზიციაა, ვიდრე სინამდვილე.  
თუმცა ჩემი შვილიშვილები უპირატესად ზანგ ან კორეელ  
ბავშვებთან მეგობრობენ და ერთხმად გაიძახიან: ისინი, ამერი-





კელებთან შედარებით, უფრო „გულიანები“ არიანო! (იქნებ ქართული სისხლი ალაპარაკებთ?)

ბავშვებთან დაკავშირებით კიდევ ერთი რამ მინდა აღვნიშნო: ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმი აქ ისე კარგად მუშაობს, რომ საკმარისია პოლიციელმა ქუჩაში შეამჩნიოს კაცი ან ქალი, – მშობელი, რომელიც თავის ბავშვს სცემს და ატირებს, – წესრიგის დამცველს შეუძლია იგი დააპატიმროს და პოლიციაში მიაბრძანოს! მერე სასამართლო განსჯის უფროსის დესპოტურ მოქმედებას და შესაძლოა მშობლობის უფლებაც წაართვას!

\*

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ „მაკდონალდსები“ ამერიკაში თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზეა! ზაფხულის ცხელ დღეებში ეს სასაუზმეები ისეთსავე როლს ასრულებს ქალაქებში და საავტომობილო ტრასებზე, როგორსაც უდაბნოში ოაზისები. როდესაც გარეთ ტროპიკული სიცხეა, „მაკდონალდსში“ ისე გრილა, ქართველ კაცს თავი ბახმაროში გეგონება! პატარა კატინეს ძალიან უყვარს აქაური ნაყინი. ამიტომ ტომა წამდაუწუმ მანქანას აჩერებს და, მიუხედავად იმისა, გვშია თუ მაძრები ვართ, სამივენი ნაყინსა და უგემრიელეს შემწვარ კარტოფილს მივირთმევთ... „მაკდონალდსში“, როგორც შევამჩნიე, ძირითადად, ბავშვები დადიან. ჯილდოდ მათ სათამაშოებს აძლევენ: გოგონებს „ბარბის“ თოჯინას, ბიჭებს კი უახლესი ავტომობილის მოდელს. ფულს, ცხადია, არ ახდევინებენ, რადგან ამაზე უკეთესი რეკლამა ძნელი წარმოსადგენია!

\*

გუშინწინ ქალაქ კრენფილდში ვიყავით, გუშინ – სომერვილში, დღეს კი ბუდოვსკიმ დამირეკა და ხვალ დილით ნიუ-იორკში უნდა შევხვდეთ. ბუდოვსკი – ჩემი მოსკოველი მეგობარია, პროფესორი. ძალიან ჭკვიანი და კეთილი კაცია. ჩემმა მეუღლემ მისი ხელმძღვანელობით დაიცვა დისერტაცია. ბუდოვსკი ამერიკაში ორ კვირას დარჩება, მეორედ, ალბათ



ველარც შევხვდებით და გამიხარდა მისი ნახვა. რაზე ვილა-  
პარაკეთ და სად წავედით, მკითხველისათვის საინტერესო არაა.  
მე სხვა მინდა ვთქვა. „ავენიუების“ და „სტრიტების“ ქსელს რომ  
თავი დავაღწიეთ და ცნობილ „ბროდვეიზე“ გავედით, ვუთხარი:  
„აფსუს, რომ ფოტოაპარატი არ გვაქვს, თორემ ამერიკაში ჩვენი  
ისტორიული შეხვედრის მომენტს დავაფიქსირებდით“. ჩემმა  
მეგობარმა, რომელიც ნიუ-იორკში პირველად არ იყო, ეშმა-  
კურად გაიღიმა, ცოტა ხანს მომიცადეო, და ფოტომალაზიაში  
გაუჩინარდა. „რამ გადარია, – ვიფიქრე, – აპარატის ყიდვას ხომ  
არ აპირებს, ამდენი ფული სადა აქვს?“ ბუდოვსკი მალე გამოჩნდა,  
ხელში პატარა პლასტმასის კოლოფი ეჭირა, დაახლოებით  
„მარლბოროს“ ხელა და მითხრა: „ეს ერთჯერადი აპარატია, სამი  
დოლარი ღირს და ამით ჩვენ შეგვიძლია 12 სურათი გადავიღოთ“.  
მერე-მეთქი? „მერე გასამჟღავნებლად ნებისმიერ სუპერ-  
მარკეტში მივიტანთ, იქ პლასტმასის კოლოფს გატეხენ, ფირს  
ამოიღებენ, გაამჟღავნებენ, სურათებს დაბეჭდავენ და მოგვარ-  
თმევენ. ესეც ძალიან იაფი დაგვიჯდება!“ გაკვირვებისგან არ  
ვიცოდი, რა მეთქვა. „ესეც შენი ამერიკა! – გავიფიქრე, –  
მომსახურებაც ამახს ჰქვია! ჩვენში რომ გაიძახოდნენ: „ყველა-  
ფერი ადამიანისთვისო“, განა ვინმე მოიფიქრებდა, ეგეთი  
მოსერხებული „ერთჯერადი“ ფოტოაპარატების გამოშვებას?!“

მომსახურების თაობაზე კიდევ ერთი, – ჩემისთანა „უნახავი“  
კაციისათვის ყოვლად დაუჯერებელი! – ამბავი მინდა გიაზოთ.

ჩემი ავადმყოფობის გამო მე და ტომა ნიუ-იორკში ექიმთან  
წავედით. ექიმი კერძო პრაქტიკას ეწეოდა და ბინაში ყველაფერი  
ჰქონდა: პატარა რენტგენის აპარატიც, ექოსკოპიც, ლაბორა-  
ტორიაც და რამდენიმე ასისტენტიც ემსახურებოდა. შუალამე  
იქნებოდა, როცა ექიმი ჩემს გასინჯვას მორჩა და მითხრა: „ზეგ  
ანალიზებსაც გაგიკეთებთ, ამიტომ ხვალ დილიდან, მთელი დღის  
განმავლობაში, ანტიბიოტიკი უნდა სვათ, რეცეპტს სახლში  
გამოგიგზავნით“. გამიკვირდა: ახლა უკვე შუალამეა, როდისღა  
გამოგზავნით-მეთქი? „თქვენ ნუ წუხდებით, დილით მიიღებთ“,  
– დამამშვიდა ექიმმა. მანქანაში ტომას ვეუბნები: „აქედან ჩვენს  
სახლამდე ორი საათის სავალია, ამ სიშორეზე თვითმფრინავით  
ხომ არ გამოგზავნის რეცეპტს, რომ დილამდე მოვიდეს?“ მაგრამ



დღით, ბალახის მოსარწყავად სახლიდან რომ გამოვივდი, საფოსტო ყუთში კონვერტი დამხვდა, შიგ რეცეპტი იდო, კონვერტს კი გარედან ლათინური სიტყვა „ციტო“ ეწერა, რაც სასწრაფოს ნიშნავს. წავედით მე და ტომა უახლოეს აფთიაქში და წამალი ვიყიდეთ. თან მთელი კოლოფი კი არ მოგვცეს, როგორც ჩვენში იციან, არამედ ზუსტად იმდენი აბი გადაგვითვალეს, რამდენიც რეცეპტში იყო აღნიშნული... თბილისში ან მოსკოვში ასეთი რამ არასდროს მოხდებოდა: დარწმუნებული ვარ, იმ რეცეპტს ჩემი გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე მიიღებდნენ ჩემი ჭირისუფლები!..

სამედიცინო მომსახურების თაობაზე კიდევ ორი სიტყვა მინდა ვთქვა. მანჰეტენის სამედიცინო ცენტრში ტომას დავყავდი. მშიშარა კაცი არ ვარ, მაგრამ ექიმებისა და ტკივილის ძალიან მეშინია (განსაკუთრებით, კბილის ექიმი ჩემში პანიკურ შიშს იწვევს!)... მანჰეტენის ცენტრში რომ მივედით, ერთმანეთთან მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელებით დაკავშირებულ, 60-სართულიანი შენობების უბანში, – სანამ ექიმთან შევიდოდი, ტომას ვეკითხებოდი: „მეტკინება? მატკენს?“ რაზეც ჩემი შვილი მპასუხობდა: „რას ამბობ, როგორ თუ გატკენს? ფული გადავიხადოთ და გვატკინოს კიდევ? ეს გამორიცხებულია!“ საინტერესო პასუხია, არა? გამოდის, რომ თავისთავად იგულისხმება: ის, რაშიც ფულს გახდევინებენ, არ უნდა იწვევდეს შენში უსიამოვნო შეგრძნებებს, უმტკივნეულო უნდა იყოს! (გახსოვთ, ჩვენი „უფასო“ მკურნალობა საბჭოთა პოლიკლინიკებსა და საავადმყოფოებში? რაც მე იქ მაყვირეს და მაკვნესეს ჩვენმა ექიმებმა, – ბავშვობაშიც და მერეც! – დღემდე ვერ დამივიწყებია!).

და კიდევ: მანჰეტენში რენტგენით შიგნეულობაც გამიშუქეს. ჩვენში ამ პროცედურის წინ პაციენტს რაღაც თაბაშირით, „ფაფას“ აჭმევენ, – საზიზლარი გემო აქვს, გულისამრევი... მანჰეტენში კი ისეთი გემრიელი „კეფირი“ დამალევინეს, რომ ორ ბოთლს არ დავჯერდი და ლამის კიდევ მოვითხოვე და ესეც, როგორც ტომამ მითხრა, აქაური „ფასიანი“ სამედიცინო მომსახურების აუცილებელი თვისება ყოფილა!..



\*

ყველას ახსოვს მაიაკოვსკის სტრიქონები:

„... У Советских  
собственная гордость, –  
На буржуев  
смотрим свысока!“

ეს 20-იან წლებში დაიწერა, როცა რევოლუციის ალკოპო-  
ლით გაბრუებულ რუსეთის პროლეტარებს უცხოელი „ბურჟუ-  
ების“ ხელყოფა არ შეეძლოთ და მხოლოდ შორიდან იღრინე-  
ბოდნენ ... მომდევნო წლებში, როდესაც საბჭოთა იმპერია საბო-  
ლოდ ჩამოყალიბდა და დედამიწის ერთ მეექვსედზე „ხალხთა  
მეგობრობის“ დროშა აფრიალდა, ამ სტრიქონების წაკითხვა  
სხვანაირად შეიძლებოდა:

„... У нас, у русских  
собственная гордость,  
на нацменов  
смотрим свысока!“

ჰოდა, ამ „ველიკოდერჟავნიკული“ ქედმაღლობისთვის  
რუსებს დედა ეტირათ კიდევც, როცა ერთ მშვენიერ დღეს  
საბჭოთა კავშირი დაინგრა და დაიშალა! მაინც, რა უცნაური ბედი  
ეწია ამ ლენინის მიერ ხელოვნურად შეკოწიწებულ სახელმ-  
წიფოს?! დიქტატურის არსებობა ხომ ბელადის გარეშე შეუძ-  
ლებელია და ბელადებიც სოკოებივით მრავლდებოდნენ მათი  
ხელითვე დახოცილთა გვამებით გაპოხიერებულ ნიადაგზე:  
ლენინი, სტალინი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, ანდროპოვი, ჩერნენკო...  
ბოლოს, როცა ბელადების დეგრადაციამ აპოგეას მიაღწია,  
ჩვენდა საბედნიეროდ, ჰორიზონტზე ჩემი სეხნია, საოლქო  
კომიტეტის მდივანი გორბაჩოვი გამოჩნდა. მის ცოლს, რაისა  
მაქსიმოვნას, უკვე საკმაოდ მობეზრებული ჰქონდა უღიმღამო  
საბჭოური ცხოვრება და კაპიტალისტურ სამოთხეზე ოცნე-  
ბობდა. ცოლის აღტკინება ქმარსაც გადაედო, მან ჯერ „პერეს-  
ტროიკა“ მოიგონა, მერე ერთი ქართველი პოლიტიკოსიც  
გვერდში ამოიყენა და მათ ერთობლივი ძალით დაანგრიეს  
„რკინის კედელი“ ... ეს ისტორიული ფაქტი რომ არ მომხდარიყო,  
ჩემი ფეხი არ იქნებოდა ამერიკაში!.. (წუხელ, მთელი ღამე თვალი



\*

ამერიკაში შანტაჟი ფულის შოვნის მეტად ხელსაყრელი საშუალებაა! შანტაჟის ორი სახე არსებობს: „მორალური ზარალის“ მიყენება და „სექსუალური ხელყოფა“. „მორალური ზარალი“ იმას ჰქვია, როცა, ვთქვათ, ერთმა ადამიანმა მეორეს რაღაც საწყენი უთხრა (შენიშვნა მისცა), ის კი სასამართლოში გაიქცა და უჩივლა: იმან მორალური ზარალი მომაყენა: ისეთი სიტყვები მითხრა, საკუთარი თავის რწმენა დაკარგეო!

სასაცილოა, არა? მით უფრო სასაცილოა, რომ მოპასუხეს სასამართლო სოლიდურ ჯარიმას გადაახდევინებს! ერთ მაგალითს მოვიყვან: ჩვენთან, სახლში, რუსული წარმოშობის ამერიკელი მუშაობდა. ერთხელ ძალზე დაღვრემილი მოვიდა და, როცა უგუნებობის მიზეზი ვკითხე, მიპასუხა, ხვალ სასამართლოში მიბარებენო. რა დააშავე-მეთქი? „ჩემი მანქანით მივდიოდი და ერთმა გადარეულმა გოგომ კინალამ მანქანა დამიმტვრია, ძლივს ავუქციე გვერდი! გადმოვედი და მაგრა გავთათხე ის გოგო!“ „გაარტყი?“ „არა, ხელიც არ დამიკარებია“, „მაშ, რატომ გიჩივის?“, „მორალური ზარალი მომაყენაო, ისე მიყვიროდა, შემეშინდაო!..“ ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩვენი რუსი ამერიკელი 2500 დოლარით დააჯარიმეს!

რაც შეეხება „სექსუალურ ხელყოფას“, ეს ბრალდება უფრო კომიკურია. წარმოიდგინეთ დაწესებულება. შემოდის უფროსი და მდივან ქალს ეუბნება: „დღეს განსაკუთრებით ლამაზად გამოიყურებით, ეგ მოკლე კაბა ძალიან გიხდებათ!“ თუ ამ მომენტში უფროსმა ქალის მუხლებსაც შეხედა, ეს სავსებით საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ქალმა სარჩელი აღძრას „სექსუალური ხელყოფის“ ბრალდებით: ამ კაცს ჩემთან სქესობრივი კავშირის დამყარება უნდოდაო!.. ამგვარი შანტაჟი ფულის გამოძალვის მიზნით იშვიათი როდია. და, საერთოდ, სექსს ამერიკელთა ფსიქიკაში დიდი ადგილი უჭირავს. მე, მაგალითად, ჩემი თვალით წავიკითხე „ნოვოე რუსკოე სლოვოში“





ასაკოვანი დედაკაცის წერილი, სადაც იგი იტყობინებოდა, რომ ხუთი ქმარი გამოიცვალა და ორგაზმი (ანუ სრული სქესობრივი სიამოვნება) არც ერთთან არ განუცდია!.. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ კი იტყობინებოდა, რომ ვიღაც ახალგაზრდა ქალმა თავის მამას, – ცნობილ კინომსახიობს, – შვილიშვილთან შეხვედრა აუკრძალა, რადგან დედას მოეჩვენა, თითქოს მოხუცი „არაჯანსაღად“ ეფერება ნ წლის გოგონას! ამ ნიადაგზე, ბაბუას თურმე ინფარქტი მოსვლია და საავადმყოფოში მოუათავსებიათ (გაზეთს მხოლოდ ის აინტერესებდა, თუ ვინ ითამაშებს ახლა მის როლს ჰოლივუდის ახალ ფილმში, რომლის გადაღება ჯერ არ დამთავრებულა?..). ამერიკელების მოგონილია „სექსუალური მამაკაცი“ და „სექსუალური ქალიც“. მე მგონი, არც ერთ სხვა ქვეყანაში იმდენ ყურადღებას არ აქცევენ სექსუალურ პრობლემებს, როგორც ამერიკაში! ჰომოსექსუალისტების, ბისექსუალისტების, ტრანსსექსუალების, ლესბოსელების და სხვა სექსუალურ დამახინჯებათა მიმდევრების ყოფა-ცხოვრებას გაზეთები და ჟურნალები ყოველდღე აშუქებენ. ამის მოთხოვნილება, ეტყობა, არსებობს, თორემ პრესა ტყუილად არ გაირჯებოდა!.. ვაშინგტონში ქართველი ემიგრანტი გავიცანი, ჩემი ხნის კაცი. გერმანიაში ტყვედ ჩავარდნილა და ახლა ამერიკაში ცხოვრობს. ვეკითხები: ცოლი რატომ არ ითხოვე-მეთქი? „აბა, როგორ უნდა მეთხოვა, ამერიკელი დედაკაცები ხომ ყველანი ... ცხენები არიან!“ და მე გამახსენდა კინოსერიალ „სანტა-ბარბარას“ ქალები, რომელიც მართლა ლამაზ ფაშატებს ჰგვანან და სულიერების ნატამალიც არ გააჩნიათ!

ამერიკაში დაბეზლების პრაქტიკაც ძალზე გავრცელებულია; იგი ოფიციალური მოწონებითა და პატივისცემით სარგებლობს (თუ ე.წ. „საქვეყნო საქმეს“ და „მაღალ პრინციპებს“ ემსახურება). ჩემმა შვილიშვილებმა მიაძბეს: სკოლაში, გაკვეთილის დროს, ბავშვი რომ ადგება და იტყვის: ამან და ამან დღეს გაკვეთილი არ მოამზადაო! – მასწავლებელი შეაქებს, რადგან ბავშვმა სიმართლე თქვა. რას ემსახურება ეს სიმართლე – სარგებლობას მოუტანს ვინმეს თუ ზიანს მიაყენებს, ამას მნიშვნელობა არ აქვს... ტყუილად კი არ არსებობს მათთან ასეთი წესი: სასამართლოში ჩვენებას რომ აძლევენ, სახარებაზე ფიცს დებენ – „სიმართლეს,



მხოლოდ სიმართლეს და სხვა არაფერს ვიტყვი!“

ჩემი შვილიშვილების ნაამბობმა ისევ საბჭოთა კავშირი გამახსენა. ჩვენშიც ხომ პატივს სცემდნენ აბსტრაქტულ ფასეულობას – პატრიოტიზმს, ერთგულებას, თავგანწირვას, ჭეშმარიტებას, – თორემ საიდან გაჩნდებოდა ისეთი ტიპი, როგორიც პავლიკ მოროზოვია? და ისევ მინდა გავიმეორო: ამერიკა და საბჭოთა კავშირი ძალიან ჰგვანან! მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ჩვენ ღარიბები ვიყავით, ესენი კი ძალიან მდიდრები არიან!.. რაც შეეხება კერპებს და სალოცავებს, ჩვენთან იდეა იყო, აქ – დოლარია!

მე მახსოვს, როცა 60-იან წლებში ჩემი წიგნი იტალიაში გამოიცა, იქიდან გამომცემლობის წარმომადგენელი ქალი ჩამოვიდა. მდიდარი ქალბატონი ჩანდა. მასთან შედარებით, მე, ქართველი პოეტი, უბრალო სტამბის მუშად გამოვიყურებოდი. იხტიბარი მაინც არ გავიტეხე და კაფეში დავპატიჟე. ჩვეულებრივი მოსკოვური კაფე იყო, ღია ცის ქვეშ, ისეთი, სადაც პლასტმასის მაგიდებია და ნაყინთან ერთად ყავაც არის. ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ (ჩვენ ამასობაში პოლიტიკაზე ვსაუბრობდით – იმის შესახებ, თუ რა განსხვავებაა საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის) ეგრეთ წოდებული „ყავაც“ მოგვიტანეს. ჩემმა სტუმარმა ხელში აიღო ასჯერ გადაგრეხილი და გაღუნული თითბრის კოვზი, დამანახა და მითხრა: რა ბედნიერი ხართ თქვენ, საბჭოელები: ყველაფერი ჯერ კიდევ წინ გაქვთო!..

\*

ისევ ადამიანთა ურთიერთობას მინდა შევეხო. მე უკვე გითხარით: ამისათვის ვცოცხლობ-მეთქი და ეს ლიტონი სიტყვა არ არის. ხუმრობით ბევრჯერ მითქვამს: „მარტონუ დამტოვებთ, ვინმესთან კონტაქტი დამამყარებინეთ და თუნდაც მაჩხუბეთ მასთან!“ ეს ქართველი კაცის პოზიციაა! ამერიკაში ადამიანთა ურთიერთობა თითქმის ყოველთვის პრაქტიკულ ინტერესს ემყარება და არა სიყვარულს, მეგობრობას, პატივისცემას და სხვა. ისინი იმდენად პრაგმატიკოსები არიან, იმდენად გამჯდარი




აქვთ სისხლსა და ხორცში წმინდა მცნება „დრო ფულია“, რომ დაუკითხავად, წინასწარი შეტყობინების გარეშე, მეგობარი მეგობართან ვერ მივა და ნათესავი ნათესავს ვერ მოინახულებს! ერთი მხრივ, ეს კარგია, რადგან პიროვნების სუვერენიტეტის შელახვის უფლება არავის აქვს. მაგრამ რა შუაშია სუვერენიტეტი, როცა სიყვარულსა და მეგობრობაზეა ლაპარაკი?! ჩემი ღრმა რწმენით, ამ პაწაწინა პლანეტაზე ყველანი ნაცნობები ვართ (სამწუხაროდ, ჩემს მეტმა ეს არავინ იცის!) და, რაც უფრო მალე მივხვდებით ამას, მით უკეთესი იქნება! განა საწყენი არ არის, ისე გავატაროთ ჩვენი წუთისოფელი, რომ არ გამოვეცნაუროთ, არ დაველაპარაკოთ, ხელი არ გავუწოდოთ ერთმანეთს და დავიკლოთ ის უდიდესი სიამოვნება, რასაც ადამიანი განიცდის, როცა მოყვასს გააბედნიერებს?!

\*

მაუნტენსაიდი ცოტა ქუთაისს მოგაგონებს, ისეთივე მასშტაბის ქალაქია. მაგრამ განა შეიძლება აქ წარმოვიდგინოთ ის, რაც ერთხელ ქუთაისში გადამხდა? მოულოდნელად ჩამოვედი. აეროპორტიდან მეგობარს დავურეკე. ადგილიდან არ გეინძრეო! – მიბრძანა და ყურმილი დაკიდა. მოედანზე გავედი და ჩემს მასპინძელს ველოდებოდი, გავიდა ერთი თუ ორი საათი – არავინ ჩანს, მე უკვე ვიფიქრე, ქუთაისურად გამეხუმრნენ (აქ იციან ხოლმე ასეთი „შაყირი“), როცა აეროპორტისკენ მომავალი მანქანების გრძელი მწკრივი დავინახე. ამ უცნაურ კავალკადას სამი სხვადასხვა ფერის „მერსედესი“ მოუძლოდა. „უცხოელ სტუმარს თუ აცილებენ?“ – გავიფიქრე და სწორედ ამ დროს მანქანები ჩემს წინ გაჩერდნენ. „მერსედესებიდან“ უცნობი მამაკაცები გადმოვიდნენ და მითხრეს: „ბატონო მიხეილ, ქუთაისში მხოლოდ სამი „მერსედესია“ – წითელი, შავი და თეთრი. სამივე აგერ არის! რომელი ფერიც მოგეწონებათ, იმაში ჩაჯექით. თქვენი ძმაკაცი რესტორანში გელოდებათ!“ –ო.

შეიძლება ამის დავიწყება?





ნიუ-იორკი. თავისუფლების ძეგლი

\*


ამერიკაში ვინც ყოფილა, სხვა რომ არაფერი, დაენახა „თავისუფლების“ ძეგლს მაინც შეამჩნევდა: უშველებელი ქალის ფიგურა ანთებული ჩირაღდნით ხელში ამაყად დგას ჰუდონის ნაპირზე და გეგონება, მარტო ამერიკას კი არა, მთელ მსოფლიოს გადაჰყურებს! იგი შეერთებული შტატების სიმბოლოა: ერთდროულად იმედსაც გინერგავს და მოგიწოდებს კიდევ. ასეა





ჩაფიქრებული. ყოველ შემთხვევაში, ჩემში ასეთი შთაბეჭდილება დატოვა... მაგრამ „თავისუფლების“ ძეგლის აღწერა შეუძლებელია, ის უნდა ნახო შენი საკუთარი თვალით. ნახო და გაოცდე! და კიდევ მრავალჯერ მოგინდეს მისი ნახვა ისევე, როგორც ამერიკაში დაბრუნება!.. ესეც წინასწარ ჩაფიქრებულია...

მე სხვა ძეგლზე მინდა გიაბოთ, ვაშინგტონში რომ ვნახე. კაპიტოლიუმის ახლო, „თეთრ სახლთან“ დაბურული ბუჩქნარის ძირას, ცნობისმოყვარეთა თვალს მოფარებული, პირდაპირ მიწაზე ფეხმორთხმული მოხუცი ზის. სახეზე ეტყობა ებრაელია, (რემბრანდტის მოხუცებს ჰგავს). თავშიშველია, უბრალოდ აცვია. ხელში ფორმულებით აჭრელებული ხელნაწერი უკავია და იმას ჩაჰკირკიტებს. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ამ მოხუცმა რაღაც დააშავა და ხალხს ემალებაო ... ეს ალბერტ აინშტაინია – ატომური იარაღის გამომგონებელი!



ვაშინგტონი. ალბერტ აინშტაინი

\*

დღეს ჩვენი ოჯახის წევრები სადღაც გაიკრიფნენ და მარტო დავრჩი. ვზივარ აივანზე, ლუდს ვწრუპავ და ... ვფილოსოფოსობ. სიმარტოვის სევდიან განცხრომას ვეძლევი. საკუთარ თავს ვესაუბრები, ვეკამათები, ზოგჯერ ვუჯავრდები კიდევ ... რას არ დასტრიალებს ჩემი ფიქრი, „ღობე-ყორეს ედებაო“, – სწორედ





ჩემზეა ნათქვამი.

მაშ, მომისმინე, ჩემო მკითხველო:

...რა აზრი აქვს მატერიალურ დოვლათს, თუ ადამიანები ხელს აიღებენ ჭეშმარიტებისა და სილამაზის ძიებაზე და უსარგებლო ტექნიკისა და უნიფიცირებული იდეების მონებად იქცევიან?

... რატომ ჰგონიათ, თითქოს მსუქანი ადამიანები თავიანთი ცხოვრებით კმაყოფილნი და ბედნიერები არიან? არაფერიც! გაუმაძღრობა და, აქედან გამომდინარე, სიმსუქნე (თუ ეს ორგანიზმში რაღაც პათოლოგიური ცვლილებების შედეგი არ არის) ძალიან ხშირად სულიერი დეპრესიის, ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევის შედეგია და ამის მიზეზი გრძნობადამშეული ადამიანის დაუკმაყოფილებლობაში უნდა ვეძებოთ.

...ოპტიმიზმი სასოწარკვეთილების უკანასკნელი საფეხურია. საბჭოთა მოქალაქეებმა ეს ყოველთვის ვიცოდით.

...ჭეშმარიტი შემოქმედი თავის თავში ცხოვრობს, ამიტომ, სამშობლოდან წასულიც, ემიგრანტი ვერ გახდება, რადგან თვითონაა თავისი სამშობლო ... მოსკოვში ყოფნის დროს ვწერდი: „სად დავივანებ, სად მოვისვენებ სხვებისთვის ურგი, როცა სამშობლოს, ლოკოკინასებრ, დავათრევ ზურგით!..“ სხვათა შორის, ამერიკაშიც ამასვე ვფიქრობ.

...ახალ შთაბეჭდილებებს, მით უმეტეს, სასიამოვნოს, ყოველთვის აღქმის სიმძაფრე და სადღესასწაულო განწყობილება ახლავს, ამიტომ უცხო ქვეყანაში მგზავრობა საკუთარ ბავშვობაში დაბრუნებას ჰგავს. აქ რაც ჩამოვედი, ღამდამობით სულ დედა მესიზმრება. იქნებ კიდევ იმიტომ, რომ ტომა ჩემს მიმართ დედობრივ მზრუნველობას იჩენს და გარეგნობითაც, უკვე ასაკში შესული, დედაჩემს ემსგავსება.

... იქ, ჩვენთან, საქართველოში, ამერიკის შეერთებული შტატები მართლა თავისუფალი ქვეყანა ჰგონიათ, სადაც არავითარი იდეოლოგიური დიქტატი არ არსებობს: არც ფაშისტური შოვინიზმი იცინან, არც კომუნისტური ინტერნაციონალიზმი. მაგრამ, აბა, ნახეთ ჰოლივუდის ერთ-ერთი უკანასკნელი ფილმი „დამოუკიდებლობის დღე“. კოსმოსური კატასტროფის წინაშე მდგარ დედამიწას ორად ორი ადამიანი გადაარჩენს: ებრაელი





მეცნიერი და ზანგი ჯარისკაცი – ორივენი ამერიკელები არიან. რას ნიშნავს ეს? განა არ გაგონებთ საბჭოთა რუსულ ფილმებს?

„...ეს უდავო ჭეშმარიტებააო“, – ისე იტყვიან, თითქოს სიმართლე მზამზარეულად ეძლეოდეს ადამიანს ... მხოლოდ ჩვენი საკუთარი გამოცდილებით შეძენილი და დამოწმებული ჭეშმარიტებაა ნამდვილი.

...სიკვდილი ყოველთვის უეცარი და მოულოდნელია, რადგან ადამიანის გონებას არ ძალუძს, გაიაზროს და დაიჯეროს თავისი გაქრობის გარდაუვალობა.

...საქმე ისაა, რომ სამშობლოს „გარედან“ ვერ შეხედავ და, თუ შეხედე, ის უკვე სამშობლო აღარ იქნება, რაღაც სხვა გახდება! სამშობლოს განყენებულად წარმოდგენა შეუძლებელია. ისევე, როგორც შვილის სიყვარული მშობლისადმი, სამშობლო მუდამ ჩვენი სულიერი მდგომარეობაა ...

...მაინც რატომ გვაქვს ადამიანებს ასეთი დაუოკებელი, მუდმივი სწრაფვა ცოდნის შეძენისკენ? ეტყობა, ეს შეუგნებლად ხდება. რადგან ჩვენ არასდროს წინასწარ არ ვიცით, დაგვლუპავს ცოდნა თუ გადაგვარჩენს. თუ დავიღუპეთ, რაც უნდა ბევრი ვიცოდეთ, ერთი რამ მაინც არ გვეცოდინება, რამ დაგვლუპა: შეძენილმა ცოდნამ თუ იმან, რაც უცოდნელი დაგვრჩა და, რომ გვეცოდნოდა, უთუოდ გადავრჩებოდით!

...სიბერეს ადამიანი ისევე ურიგდება, როგორც ხეიბრობას ან ავადმყოფობას. „მაინცდამაინც ცუდი არ არის, არც საშიშია“, – ვფიქრობთ ჩვენ და მოხუცებულობაში გარკვეულ უპირატესობასაც ვხედავთ, რაც ახალგაზრდებს არ გააჩნიათ. მეტი რა დაგვრჩენია? ხეიბრებით ან ჰიპერტონიკებით აუცილებლობას ვემორჩილებით და არა მარტო ვემორჩილებით, ვამართლებთ კიდევ ჩვენს მდგომარეობას და ვცდილობთ წარმოვიდგინოთ იგი რაღაც განსაკუთრებულად თუ არა, სავსებით ბუნებრივად და კანონზომიერად.

...ჩვენ ვიბადებით, ვკვდებით, ბუნება კი სულ არსებობს და მუდამ ახალია, რადგან მას ყოველთვის ახალი ადამიანის თვალი უყურებს.

...სიყვარული – რწმენაა და ყველანაირ ცოდნას აღემატება. საყვარელ ადამიანზე ხშირად არაფერი ვიცით გარდა იმისა, რომ





გვიყვარს და ეს საკმარისია. სამაგიეროდ, კარგად შეგვიძლია დავახასიათოთ ადამიანი, ვის მიმართ გულგრილი ვართ.

„...სიყვარულსა მალვა უნდაო“, – უთქვამთ და მართლაც, სიყვარული გაუმჟღავნებელი ფოტოფირივითაა: სინათლეზე ფუჭდება, თავის თვისებებს კარგავს... ის, რაც მხოლოდ ორმა იცის, ყოველთვის სუფთა და შეურყვნიელია. საკმარისია მესამე თვალმაც შეხედოს და... ჭუჭყიანი საცვლები შეგვრჩება ხელში!

...ფულის მოყვარულ ამერიკელებს რომ ვუკვირდები, ჩემს თავზე ვფიქრობ: განა მე კი არ მიყვარს ფული? როგორ არა, მაგრამ მე მეოცნებე ვარ და ფულის დაგროვება კი არა, მისი მიღება მსიამოვნებს. ამ დროს მე ჩემი სურვილების განხორციელებაზე ვფიქრობ და ვტკბები იმ განუსაზღვრელი შესაძლებლობებით, რასაც მიღებული თანხა მომანიჭებს. ესე იგი, ფულის მიღების მომენტს ჩემს საყვარელ სტიქიაში – ოცნების სფეროში გადავყავარ. გამოვიყენებ თუ არა ჩემს შესაძლებლობებს, ამას მნიშვნელობა არ აქვს...

...აქ ჩემს გარშემო, ყველანი ინგლისურად ლაპარაკობენ და, ცოტა არ იყოს, მწყინს, რომ მათი ენა არ ვიცი. თუმცა ინგლისურიც რომ ვიცოდე, მაინც ქართულად ვიტყვოდი და დავწერდი იმას, რაც გულში მიდევს. ამის გამოცდა უკვე ჩავაბარე რუსეთში, სადაც ჩემი ცხოვრების ნახევარზე მეტი გამიტარებია. მახსოვს, ყველაზე მეტად ქართულის დავიწყების მეშინოდა, ეს ჩემთვის მამაკაცური სქესის დაკარგვაზე უარესი იქნებოდა! რატომ? მოდით, ამის შესახებ დავით გურამიშვილს ჰკითხეთ, ან თუნდაც მეორე დავითს, კლდიაშვილს, რომელიც უფრო ახლოა ჩვენთან!.. ენაზე გამახსენდა: ერთმა ახალგაზრდა მწერალმა ბრძენსა ჰკითხა, მშობლიური ენის გარდა უცხო ენაც ვიცი, თან უცხოეთშიც ვცხოვრობ და რა ენაზე ვწერო? ბრძენმა უპასუხა: იმ ენაზე წერე, რა ენაზეც ლოცულობო... ჩემი აზრით, ენის არჩევანზე თუ დადგა საქმე, ადამიანმა იმ ენაზე უნდა წეროს, რა ენაზეც დაიყვირებს „ვაიმე დედაო!“, როცა გაუჭირდება!

...რისთვის მოვედით ამ ქვეყანაზე? ვინმეს უნდა ვჭირდებოდეთ, – ჩვენი არსებობა მხოლოდ მაშინ არის გამართლებული.

...ადამიანო, რწმენა თუ არ გაგაჩნია, მახვილს ნუ ამოიღებ,



რადგან ბრძოლას მარტო მიზანი აკეთილშობილებს. უძველესი  
მებრძოლი – მოლალატეზე უარესია!

...შეშინებული ადამიანი ერთია, მშიშარა – სხვაა. შიშმა  
შეიძლება ადამიანი სიგიჟემდე მიიყვანოს, მაგრამ ლაჩრულ  
საქციელს არ ჩაადენინებს. მშიშარა კაცი კი, ბუნებით პატიო-  
სანიც რომ იყოს, არავითარ სისაძაგლეს არ მოერიდება თავისი  
სულიერი სიმშვიდისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.

...ღმერთო ჩემო, რამდენი უსამართლობა ხდება ქვეყანაზე,  
თუნდაც ისეთი, პირდაპირ რომ არ გვეხება! რატომ გვინდა  
ყველაფერი ვიცოდეთ? განა უფრო ხელსაყრელი არ იქნებოდა,  
თავი მოგვეტყუებინა, ვითომ არაფერი ვიცით?

...ადამიანში ყველაზე მეტად თავისი თავისადმი ირონიული  
დამოკიდებულება და საკუთარი თავის დავიწყების უნარი მომ-  
წონს. სასაცილოა, როცა კაცი თავის თავს „თქვენობით“ ელაპა-  
რაკება და გადაჭარბებული სერიოზულობით აღიქვამს საკუთარ  
პერსონას ...

...ისტორია – მუნჯი კინოფილმია. ყველა ახალი თაობა თავის  
ნებაზე ახმოვანებს მას და თავისი მოთხოვნების მიხედვით  
ალაპარაკებს მოქმედ პირებს. მთავარია, არტიკულაცია არ  
დაირღვეს და ახალი ტექსტი ისტორიულ პირთა ტუჩების  
მოძრაობას შეესაბამებოდეს!

...რა ადვილად ეჩვევა ადამიანი ყოველგვარ ტექნიკურ  
სიახლეს: ტელევიზორს, კომპიუტერს, მობილურ ტელეფონს,  
ცათამბჯენებს, მთვარეზე გაფრენას ... და რა კონსერვატულია  
ჩვენი ბუნება ზნეობრივ სფეროში: ახალი მორალის დამკვიდ-  
რებას ზოგჯერ საუკუნე არ ჰყოფნის!


...ადამიანის სხეული „მოძრავი ჭურიაო“ უთქვამს ერთ  
ქართველ მწერალს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ტანი ავტო-  
მობილს, მატარებელს, თვითმფრინავს ან ტრანსპორტის სხვა  
საშუალებას შეიძლება შევადაროთ. მართლაც, ჩვენმა წინა-  
პრებმა თავისი სხეულის მიბაძვით შექმნეს ყველაფერი, რაც  
მოძრაობს – ცალთვალა ურიკით დაწყებული და კოსმოსური  
ხომალდით დამთავრებული! ამქვეყნად უძრავი არაფერია, ხოლო  
იმას, რასაც გადაადგილება შეუძლია, გარკვეული გზა და  
მიმართულება აქვს: თვითმფრინავებს – საჰაერო ტრასა, მატა-





რებლებს – ლიანდაგები, ავტომობილებს და ეტლებს – გზატკეცილები. ადამიანის სხეული უნივერსალურ კანონს ემორჩილება, მასაც აქვს სტარტი, მიმართულება, ფინიში... ერთი სიტყვით, ჩვენი სხეულიც „ტრანსპორტის“ თავისებური სახეობაა. მოგწონთ თუ არ მოგწონთ ეს შედარება, ჩემთვის სულ ერთია. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ამ „ტრანსპორტში“ ერთი მოწყენილი მგზავრი ზის. მგზავრიც ისაა და მძღოლიც, და მას ადამიანის სული ჰქვია. რატომ არის მოწყენილი? იმიტომ, რომ მარტოა. კიდევ იმიტომ, რომ, განსხვავებით ჩვეულებრივი მგზავრისაგან, ვისაც შეუძლია, როცა მოესურვება, შეწყვიტოს მგზავრობა, გააჩეროს ტრანსპორტი, ჩამოვიდეს, გაიარგამოიაროს, თვალს წყალი დააღვეინოს ან სხვა ტრანსპორტში გადაჯდეს, ადამიანის სული იძულებულია ტუსადივით იჯდეს სხეულში. ასეთია მისი ხვედრი და რას იზამს?! ერთადერთი, რაც მას შეუძლია, ფანჯარაში გაიხედოს (თვალები აქვს!) და დაინახოს, რა ხდება გარეთ... ჰოდა, ზის ეს „მოწყენილი მგზავრი“ და მთელი სიცოცხლის მანძილზე – დაბადებიდან სიკვდილამდე – ფანჯარაში იხედება. ესმის ყველაფერი, რაც ფანჯრის მიღმა ხდება (ყურებიც აქვს!), გათიბული ბალახის სურნელით ტკბება (ყნოსვაც გააჩნია), მთით მონაბერი ნიავით გრილდება, ტკივილსაც იგრძნობს, როცა სხეული ოღროჩოღრო გზაზე შეინჯღრევა, დაიყვირებს კიდევ და თავის ხმას ქვეყანას გააგონებს, მაგრამ რა აზრი აქვს ამას? ჭეშმარიტი სიხარული შორსაა მისგან, რადგან ამ მგზავრს სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი და ამიტომ მუდამ მოწყენილია!.. თანაზომიერად გუგუნებს გულის პატარა ძრავა. სად არ დაატარებენ ადამიანს ფეხები – სადაც უნდა, შეჩერდებიან, როცა უნდა, სვლას შეანელებენ, სიჩქარეს მოუმატებენ, გაიქცევიან, მთაზე ავლენ, ზღვასა და ოკეანეში შეცურდებიან, ცაში აიჭრებიან, ქვეყნის საზღვრებს გადალახავენ... სულს კი სხეულიდან გამოსვლა არ შეუძლია! გავა თუ არა, მორჩა, წასულია მისი საქმე, იმწამსვე გაქრება! უმძლოლოდ და უმგზავროდ დარჩენილ სხეულს კი, ჯართივით ყუთში ჩადებენ და მიწაში ჩაფლავენ, რადგან ჩვენს პლანეტაზე უამრავი მანქანისგან ისედაც სივიწროვია და ვის რაში სჭირდება აშმორებული კუნთებისა და ძვლების გროვა?!





მანკეტენი. 101 სართულზე

\*

თბილისში ჩემს წასვლამდე სულ ორი დღე დარჩა. ბილეთი უკვე მომიტანეს, ბარგიც ჩალაგებულია. ხვალ უკანასკნელად მანკეტენში გავემგზავრებით მე და ტომა. იქ ერთი მართლმადიდებლური ეკლესიაა და სანთელი მინდა ავანთო. მადლობა ღმერთს, შინ ვბრუნდები! ბევრი არაფერი მიმაქვს, გარდა „გადარეული წებოსი“ (გახსოვთ „ქრეიზი გლუ“?) და დიქტოფონზე ჩაწერილი ჩემი შთაბეჭდილებებისა ...

ძალიან გთხოვ, ჩემო მკითხველო, ამ ჩემი „გაურკვეველი ნარკვევის“ მიმართ მკაცრი ნუ იქნები. გავიმეორებ იმას, რაც წინასიტყვაობაში გითხარი: ამერიკა არც ქვეყანაა, არც კონტინენტი. იგი გამოუცნობი პლანეტაა, რომელიც ყოველთვის თავის ახალ აღმომჩენელს ელის. ერთი ასეთი აღმომჩენელი მეც ვარ. შევეცადე, გულწრფელად გადმომეცა ჩემი შთაბეჭდილებები – შთაბეჭდილება კი, მოგესხენებათ, მუდამ სუბიექტურია.



ღამის 9 საათია. მაუნტენსაიდიდან კენედის აეროპორტამდე ვალოდიაშვილი გამაცილა. უკანასკნელი, რაც დამამახსოვრდა, ტომამ ძალიან იტირა დამშვიდობებისას. ალბათ, ჩემსავით გრძნობს, რომ ველარ შევხვდებით და ამიტომ ტირის. ჩვენ ხომ დედამიწის სხვადასხვა ნახევარსფეროში ვცხოვრობთ ...

ახლა 10 საათია. „ბოინგის“ მოხერხებულ სავარძელში ვზივარ. სქელი წინდები მომიტანეს, რომ სალონში რბილად ვიარო, შავი სათვალეც მომართვეს, რომ დღის შუქზე დამეძინოს ... ჩემს წინ დიდი ფერადი ეკრანია და ვხედავ, როგორ მოძრაობს ჩვენი თვითმფრინავი. იგი ჯერ ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროს აჰყვას, მერე ატლანტიკა გადაკვეთა და ევროპისკენ აიღო გეზი. საცაა ფინეთს მივადგებით. ამასობაში, აღარ მახსოვს, რამდენჯერ მაჭამეს. წინასწარ მენიუ მომიტანეს და მე თვითონ ამოვირჩიე, რა უფრო მესიამოვნება: ქათმის კატლეტი თუ „იხვის ტოლმა!..“ მოკლედ, გარყვნილებამდე მიყვანილი მომსახურებაა!..

უკვე ჰელსინკის აეროპორტში ვარ. ორი საათის შემდეგ თვითმფრინავი მოსკოვში გაფრინდება. კაფეში შევედი და ჩაი დავლიე. უკანასკნელი ქალაქის ფული დავახურდავე, რომ ჩემს შვილს ამერიკული მონეტები ჩავუტანო. კაფეში წყნარი მუსიკა უკრავს, ფანჯარასთან ვზივარ და უნეტარეს მოწყენილობას განვიცდი... ვალოდიას რომ აეროპორტში მივყავდი, ტომამ მანქანაში ტელეფონით დამირეკა და დამამშვიდა: მოსკოვში დაგხვდებიან და ყველაფერი კარგად იქნებაო...

\*

მესამე დღეა თბილისში ვარ. ეს წუთია მაღაზიიდან მოვედი, პური მოვიტანე. ორი საათი რიგში ვიდექი, ბოლოს, ნაცნობმა ამიღო, თორემ ხელცარიელი წამოვიდოდი – პური თავდებოდა...

დღეს ჩემს სამსახურში დავრეკე და ვიკითხე, ხელფასი ხომ არ გაუდიდებიათ-მეთქი, თან დავინტერესდი: რამდენს მაძლევენ ახლა? თურმე თვეში 17 ათასი კუპონი მქონია. გამახსენდა,





ტომასთან რომ ხელოსანი მუშაობდა, ერთ საათში 25 დოლარს აძლევდნენ. ერთი დღე იმუშავა და 150 დოლარი მიიღო. წარმოიდგინეთ, ერთ დღეში 150 დოლარი! ქართულ „კუპონზე“ რომ გადავიანგარიშოთ, გამოდის, მას მისცეს 200 ათასი კუპონი. ჩემი ხელფასი კი 17 ათასი კუპონია!

რას იყიდი ამ ფულით? კილოგრამი ყველი 15 ათასი კუპონი ღირს.

\*

დღეს გული მატაბელი დავასაფლავეთ ... აფხაზეთი უკვე დაკარგულია ... ზვიად გამსახურდიას ჯარებმა სამტრედია აიღეს. ხვალ შეიძლება თბილისშიც შემოვიდნენ ...

ჩემი ტოლები ყოველდღე იხოცებიან. მეგობრებიდან მარტო ზურაბ კვიციანი და თამაზ გამცემლიძე დამრჩა, მეტი არავინ.

გული მატაბელს გამოსათხოვარი ლექსი საფლავში ჩავატანე. სასაფლაოდან რომ ვბრუნდებოდით, მღვდელს ვკითხე, აბრეშუმის ანაფორაში გამოწყობილ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც გულზე დიდი ვერცხლის ჯვარი ეკიდა:

– გამაგებინეთ, მამაო, რატომ ხდება, რომ კარგები კვდებიან, ცუდები კი ცოცხლობენ? ნუთუ ეს ღმერთის ნება-სურვილია? მღვდელმა ჭკვიანი თვალებით შემომხედა და მიპასუხა: – თქვენ, საერო საზოგადოების წარმომადგენლებს, არ გესმით, რა ბედნიერებაა სიკვდილი, ანუ ამ ცოდვილი ქვეყნიდან უცოდველ ღვთის საუფლოში გადასვლა. რას ბრძანებთ-მეთქი, მაშ, სიკვდილი ბედნიერებაა? რაღად გავჩნდით? სიკვდილისთვის? ანდა რა ბედნიერებაა, როცა მშობელი კვდება და მის ობლად დარჩენილ შვილს, არავინ იცის, ვინ უპატრონებს? ამაზე მამაო არ მიპასუხა. იგი წამოეწია გარდაცვლილის მეუღლეს, მკლავში ხელი გამოსდო და ჩუმად უთხრა: ჭირის სუფრაზე რომ დავსხდებით, ხაშლაძის კარგი ნაჭრები ამომირჩიეთ და ცელოფანში ჩამიდეთ, შინ წავიღებო!



\*

თბილისი საშინლად გამოიცვალა. ქალაქი თითქოს იგივეა თავისი მთაწმინდით, ნარიყალათი, რუსთაველითა და პლენოვით, მაგრამ მოსახლეობა სხვაგვარია. ქართულად ლაპარაკობენ, კილო კი არაქაურია, არათბილისური და ჩემი თავი ხან ოჩამჩირეში, ხან ზუგდიდში, ხან თელავში, ხან კიდეც, ეშმაკმა იცის, სად, რომელ მიყრუებულ სოფელში მგონია! ეს უკვე აღარ არის ტიცვიანის, პაოლოს და გალაკტიონის ქალაქი! არც პასტერნაკის საოცნებო თბილისია, უცხოელები „პატარა პარიზს“ რომ უწოდებდნენ ... ყველგან რიგებია, ჩხუბი, აყალბაყალი, დედის გინება (თანაც სხვისი კი არა, საკუთარის!) და მათხოვრებმა წალეკეს საქართველოს დედაქალაქი!

\*

უკვე წელიწადი გავიდა, რაც ამერიკიდან ჩამოვედი. ისე ჩამითრია გაჭირვებულმა ყოფამ, მგონია, საზღვარგარეთ არც ვყოფილვარ ... ამას წინათ ზურაბ კვიციანიძეც გარდაიცვალა, იმას თამაზიც მიჰყვა ... ტოლ-მეგობრებიდან მართლა აღარავინ დამრჩა. ჩემი პატარა გოგიას იმედით მიდგას სული, მაგრამ როდემდე: მე უკვე სამოცდაათს გადავაბიჯე ...

მე რომ მოვკვდები, შვილო, და დამაურჩიან მიწას და მიჩუმიდება ხმები სამკლოვიარო მარშის, შენ ჩემს საფლავთან მოსვლა დაგეზარება ხშირად, რადგან ათასი საქმე გამოგიჩნდება მაშინ ...  
მე არ გაუვედრი ამას. მე ახლაც ვიცი, რომ შენ არ დამივიწყებ, მაგრამ ორომტრიალში დღეთა, თუ ჩემს საფლავთან მოსვლა დაგაკვირვებს, ზოგჯერ სიზმარში მაინც მნახე, რომ ვიყოთ ისევ ერთად!

თბილისი, აგვისტო, 1998 წელი



K314. 262  
3  
3406840  
808401033

